

კარი ერთოსელი

კოლეგი
ფსალმუნი

100-ტომეული




გამომცემლობა „კნივერსალი“
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს მროველი აკადემია

კუსა ექისტელი



კოლეური ფსალმუნები

0169 ულეათა კრებული
100 ფომად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუა-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

კუკა ეჭილელი



კოლეური
ფსალმუნები

ტომი 62

2020



მთ. რედაქტორი

დაჩი ლოლაია

იურისტი, საერთაშორისო
სამართლის დოქტორანტი

© ვაკა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „კენიარსაფი”, 2020

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, თე: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-869-4 (62 ტომი)



* * *

გაშა ებრისელი დაიგადა ხობის რაიონის სოფელ ხორგაში. განათლებით იურისტი და ინიციერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ გორგის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტუტი. ორმოცამდე ზოგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე ზოგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცემის მიერ ანთოლოგია – „ოქროს მტკვანი“, ალექსანდრა სტირლინგ-კოზლოვას მოწოდებულია – „ბრიუსოველი – ალიო მაშავილი“, ვერდორ ტიუჩხევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა კოეფის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მოცემილი გრიფოვებული – „იმპენ ნაიობლი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესაუგლიკის გამოცემის „მოლოდინის“ გამოსცემის ვაშა ებრისელის „კოლხური შასლაუების“-ს ხუთომეტელის ათასზე მეტ გვერდიანი პირებით ფომი, რომელმაც ორიათასზე გაუთი კოეფილი მშნილება იყო დაეჭირილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა კოეფის მეორე, მესამე, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიგეჭდა კოეფის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელმაც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

გაშა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მოწოდრაზია დაწერილი და ცალკე ზოგნებად გამოცემული.

გაშა ებრისელი საქართველოს და მოცემის რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მეცნიერთა, მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ზ და საქართველოს ეროვნულია აკადემია დაიწყეს ქართული კოეფის რაინდის, საქართველოს მეცნიერთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიდის არენიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის ღმერანის გედლისა და „დიონსკურია 2005“-ის, მჯგიდობის ოქროს ვარსკვლავისა და მჯგიდობის ღრუბის მფლობელის, სახალხო კოეფის, საქართველოს მეცნიერთა მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ს კონფერენციის, საქართველოს ეროვნული და ვაზისის საერთა-სამცნეომრო კაპადემიის ვიცე-კონფერენციის,



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეუღების „კოლეჯი შასლაშვების“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისების ახალი, ოჩული კოლეჯი შასლაშვების“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემულობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდიანი, უბადლეს კოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიზრულს გამოვიდა „კოლეჯი შასლაშვების“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენა 90 ტომია (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისების კლასისური კოექტის ათომობული, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი კოექტების, მეცნიერებისა და სახოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგაროა ვაზისის (კოლე-
ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელ-
მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე დია კანკისყრით ერო-
სხად აირჩია აგავე კადემიის 30ცე-კარეზიდენტი, ცხობილი
კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის
დესანტი, „კოლეჯი შასლაშვების“ 100-ტომეულის აპტორი,
იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროვესორი
ვაჟა უბრისები.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მოერალი) და ორი
ვაქიტვილი ზურაბი და დაჩი (ორივე იურისტი) და სამი მკი-
ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცნე შვილი
(შვილი ქმა და ორი და).





პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვენს ორგ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, როგ აზანზარებს ჩუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შსალმუნების“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხე, ჩამი ძველი აზრი რადიკალურად უარვებავი და... დღეს ქვეყნის ბასაბონად ხბამაღლა გაცხადებ: ვა-შა მბრისელი არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოენს არა ჰპაპს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმისის ჰალაში მდგარი მუხაა, რომელსაც ოქროს საჯმისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ჰელაზგა იაზონება მედვეასთან ერთად როგ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელმოწის, აიეტის ხელი დარბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპები, კოემჭა იქროს საჯმისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შსალმუნების“ იგავითურვლომელი ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვის ნაცარიმიყრილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდონინდელი სამყაროს ოცდათოთხმეტებ მეტ საუკუნვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცენებით დახუნდული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ გაუკითხავია.

100-ტომეული... ქვეყნის განენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კომია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძლია დედამიწაზე...

კოსმოსში კ...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრობისა და სიძულვილის გველუშავი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

გულაზ ხარაიზვილი

კოემჭი, ბალაპტიონ ტაგიძის არევის დაურიატი,
ჯემბერ ლეხაგას სახელობის მეცნიერებათა
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი



„გულიფიად შესვლი ყოველ შებას, ყოველ ძაბებას.“


ა. პუშკინი

შოთარიშვალის მაბიერ

(გაგრძელება)

ვაჟა ეგრისელის პატრიოტიზმი გამორჩეულია,
უფრო ტკიფილიანი, პოეტი წინასწარ ჭვრებს მოსა-
ლოდნელ კატასტროფებს ერის პოლიტიკურ ცხოვრე-
ბაში. აი, დღევანდელ ტრაგედიამდე ცოტა ხნით ად-
რე დაწერილი სტრიქონები:

„ზღვის ტაძარში საღამოს თუ
დილით,
ზეირთთა ლურჯი გალობები
მესმის
და ლოცვად დგას სოხუმი
და გაგრა –
დიაოხთა მწვანე სამანებში,
ზღვა უნდოა, გულში მიკრავს
მაგრად,
ცალი ფეხი მიდგას სამარეში“. 8





ის უბედურება, რაც ჩვენს თვალშინ აფხაზეთის ომის დროს დატრიალდა, საოცარი ძალით იგრძნობა ვაჟა ეგრისელის პოეზიაში. ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიხმობთ შემდეგ ლექსეს:

„ბორგავს კოდხეთი –
დალატით ყელგამოდადრული,
თუმც პონტოს ახსოვს დღე
უარესი –
ფაზისის პირას –
უსაწმისო ველზე არესის
ისმის ბლავილი აიეტის
ცეცხლის ხარების“.

არანაკლებ შთამბეჭდავია დაახლოებით იმავე შტრიხებში დახატული სურათი, რომელიც აფხაზეთში დატრიალებულ ტრაგედიას გადმოგვცემს, ამავე დროს მინდა დაბეჯითებით აღვნიშნო, შედარებით ესთეტიკური ველი გაძლიერებულია ლექსის პწკარების „დამსხვრეული გრაფიკით“, რომელიც აქა-იქ დანთხეული სისხლის წვეთებს გვაგონებს:

...ბოლოს, ვით იქნა
აფხაზეთი დააფეხმდიმეს –
ქართველთა ზიზღით აფსუებმა და
ვითარც ზღაპარში დრო გაიჭინთა
და შობა დევი სიძულვილისა,



რომელმაც ერთად ჩაგვიყდაპა:
სოხუმიც,

გაგრაც,
ზღვაც და ბიჭვინთაც“.

მოხმობილ ლექსში აფხაზეთში დატრიალებული
ტრაგედია მთლიანად გადმოცემულია საოცრად ორი-
გინალურად, პოეტის შედარების ძალისხმევით შექ-
მნილი ეფექტი იმდენად დიადი და ასოციაციურია,
რომ ძნელდება მსგავსი მაგალითების დაძებნა, საერ-
თოდ ქართულ პოეზიაში.

ნებისმიერ ომში ის იმარჯვებს, ვინც მართალია,
მაგრამ ძმების სისხლით დაორთქლილ ბრძოლის
ველზე ერთადერთი გამარჯვებული – იუდას შორეუ-
ლი მემკვიდრე, ანუ ბოროტების, უდმერთობის ბნელ
ქავესკენელში შობილი ძალაა, რომელმაც ერთი ქვეყ-
ნის შვილები მკვლელებად აქცია. ეს ძალა და მისი
ღრმა, ოცდაათი ვერცხლის ფერფლით შეფერილი
ნაკვალევი რომ არა, არ დაიწერებოდა ასეთი მარ-
თალი სტრიქონები:

„დაჩენჩხვილ შავებს იცვამს
შავი ზღვა,
ტყვიანაკრავი თბილისი კი გდია
უსულოდ.
და ჩვენი მტრების გულგასახარად



გადამწვარი და გადატრუსული
ქართული მიწა იქცა საპარად“.

„ვაჟა ეგრისელის ფეხომენი შორს სცილდება ეროვნული არსის ჩარჩოებს და მსოფლიო მასშტაბებს იძენს. მის პოეტურ შემოქმედებას განუმეორებელ ხიბლს ანიჭებს ვარსკვლავებივით მოკიაფე მეტაფორები, რომლებიც ავგაროზივით იცავენ ვაჟა ეპრისელის პოეზიის შეუგალობას...“

ასე ქმნის ჩვენი ეროვნული ყოფისა და ხასიათის შარავანდედიან სურათს ვაჟა ეგრისელი – სახეობრივ ხატების გასაოცარი მეუფე“ (მერი ბადრიაშვილი – პოეტი, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი).

„წარღვნა“, რომელიც ვაჟა ეგრისელის ლექსებით მერეხივით მოვარდა ქართულ პოეზიაში, არა წამლეკავი, არამედ ჩვენი ეროვნული სულის აღტყორცნაა დგთიური სიმადლებისაკენ და მირონივით ეცხება და დვთისმშობლის ცრემლებივით ესხურება საქართველოს მრავალგზის ნაიარევ გულს.. ასეთი წარღვნა ნუ მოუშალოს ლმერთმა ქართულ პოეზიას“ (ზაზა ბაწელაშვილი – მწერალი, სახალხო არსისტი).

ვაჟა ეგრისელი თავისი პოეტური ქმნილებებით მიგვანიშნებს წუთისოფლის ხიდის გადალახვის აუცილებლობაზე, რწმენისა და ძალის აღდგენაზე და



უნდა ვირწმუნოთ, რომ კოლხეთიდან, აფხაზეთიდან, სამაჩაბლოდან, დადგება დრო და მოვა ის, ვინც ქვეყანას, ერს გადაარჩენს. „დამის ნაპირთან ზღვად ჩასული მზისთვის ლოდინი, სიშორის ტოტზე - ცა მოყვავილე და უამს ცისკრისას შორეული ვითა ლეგანდა, მამლის ყივილი, ძროხის ბლავილი, აღმოსავლეთით დილად შედედდა“. - ეს რწმენა, ეს ყივილი მამულისა იძლევა სწორედ სიყვარულის იდეალებთან დაახლოების ჭეშმარიტ საფუძველს.

ცხოვრებისადმი ვაჟაცური დამოკიდებულების მოტივი ასაზრდოებს პოეტის მთელ შემოქმედებას და ეს შინაგანი პოლიტიკური ინერცია, რომელიც თავისებურ რიტში გარდატეხს და თავისებურ !ღრადობას ანიჭებს გარეშე სინამდვილის ყველა მოვლენას ყველა ხმასა და მელოდიას.

და მაინც, ჩემი ღრმა რწმენით ვაჟა ეგრისელი ჭეშმარიტი რეალისტია, ამიტომაცაა ის განუმეორებელი კოლორიტი ქართულ მწერლობაში.

როგორც ჭეშმარიტი მხატვარი, ის საკუთარ სულში აკაშკაშებულ მშვენიერ სახეებს ეალერსება და მის ნაკვებზე გამომკრთალი შუქიც თითქოს ამ დიდი სინათლის ანარეკლია.

პოეტი ხელავს ცივილიზაციის ათასგეარი საცდურით გონებაამღვრეული ადამიანის სისასტიკეს, ხედავს იმასაც, რომ თანდათან შორდება ადამიანი ზეცას და დედამიწას უახლოვდება დამოკლეს მახვი-



ლი. გრძელდება დაუსრულებელი ხოცვა-!ლეტა, სამყაროს ყოველ კუთხე-კუნტულში იგრძნობა უფლისა და ადამიანის სევდა, მათი საერთო სატკივარი და საფიქრალი.

„შურმა და მტრობამ და სიძულვილმა,
ჭირი შეჰყარა ხახულს და ზარზმის,
გულებს და მაღალ ციხე-კოშკებს გაუჩნდათ
ბზარი.

კმარა!..

სამშობლო! –
იქუხოს აზრმა,
აწ სიყვარულის შემოვცრათ ზარი“.

კოლხეთს, სამეგრელოს ახსოვს ცრემლიანი წარსული, ანაკლიასთან ანას ტირილის ხმა ახლაც ჩაექმის და ათრთოლებს პოეტის სულს, არ შეუძლია დაივიწყოს ისიც, თუ როგორ მიართმევდნენ საქართველოს ასულებს ძღვნად თურქეთის სულთანს, ამ სურათის მოწმე ცა კოლხ დედასავით ქვითითნებდა:

„ომას იწეწს და პირს იხოქს ელვით,
ზღვა გულში მუშტებს იბრაგუნებს
და ეკვრის სუნთქვა“.

ან კიდევ:



ნელა ესობა ხმალი ვადამდე,
ნიკოფსიიდან –
დარუბანდამდე.
ტირის ჭოროხი –
გაქონდეს რა გული!
ბორგავს ენგური...
ალაზანი,

გრგვინავს არაგვი,
ო, რა მცირეა მთით შერაგული
და... რამდენია შემოსარაგვი!!!

და მაინც დაბეჯითებით შეიძლება ითვქას, რომ „ვაჟა ეგრისელის სამყარო უკიდეგანოა, დაწყებული შავი ზღვის ნაპირებიდან – წენარ ოკეანამდე. ცელუბესისა და იავას კუნძულებიდან – კილიმანჯაროსა და ჰიმალაის მთებამდე. სპარსეთისა და არაბეთის უდაბნოებიდან – ტროას ნანგრევებამდე; ეგრისის, შორაპნის და ციხეგოჯის სიმაგრეებიდან – ეგვიპტის პირამიდებამდე და ბაბილონის გოდოლამდე. აბას-თუმნის ობსერვატორიიდან – ირმის ნახტომამდე და ოტარიდამდე. ვაჟა-ფშაველიდან ჰომეროსამდე, რუსთაველიდან – გალაკტიონ ტაბიძემდე და ლადო ასათიანამდე. შორეული მითოსიდან ბიბლიამდე და შემდეგ ატომისა და წყალბადის ბომბებით, ათასი კატაკლიზმებით გაგულისებულ მეოცე საუკუნის მზის



მიწურულამდე და მესამე ათასწლეულის თვალუ-
წვდენელ გადასახედამდე“.

აფხაზეთის რკალის ლექსები ცხადად მიგვ-
ანიშნებს იმაზე, რომ ქართველებს არ ძალუმს აფხა-
ზის „მტრის ხატად“ წარმოჩენა, ჩვენი ამ ომში და-
მარცხებაც სწორედ ამ მიზეზმა განაპირობა.

და მაიც, სიყვარული დაუმარცხებელია. მისი
ოქრო ისევ ანათებს, გაბზარული გულებიდან მისი
თაფლი ისევ მოწვეთავს. ქართველს ოდიდგან მოდ-
გამდა ნიჭი რწმენისა.

„საქართველოში ოჯახს, ოდიდგან

სიხარულს გვრიდა გაჩენა ბიჭის,
რადგან მის მიწას, განსაცდელი მუდამ უცდიდა...
სამშობლოსათვის თავდადების რწმენა და ნიჭი,
გამოჰყვა ქართველს
დედის მუცლიდან“.

მართებულად ბრძანებს მწერალი და დრამატუ-
რგი ტატა დიოსკურელი: „...სამეგრელოს ერთად უდ-
გას კრწანისი და წიწამური“ (ვაჟა ეგრისელი) ...დრო
მოვა და ჩვენი მტერი ალგეთის ბოკვერებს ერთ
ლუკმადაც არ ეყოფათ! დაუ, გაიგოს მტერმა, სანამ
ისმის ქართული სიტყვა, სანამ ფეთქავს თუნდაც ერ-
თი ქართველის გული, ჩვენი კოლხეთი – მხარე სი-
ლამაზისა, ფაცხა „მეგრული“, საბედნიეროდ ისევ
იდგმება ფაზისთან“.



„ეს ელვა კი არა,
არის ძახილი –
ხმალშემართული ჩვენი წანაპრის.
– სატანამ ხელი საქართველოს
ისევ დარია!
პატარა კახი –
მოვა ირაკლი,
და ვით შეახსნა,
კვლავ შეაბამს კარებს
დარიალს!.

აფხაზეთისადმი მიძღვნილი ვაჟა ეგრისელის
ლექსები გულის ჭრილობიდან ამოზრდილი ყვავილი-
ვით სევდიანი და პაეროვანია. მისი პოეზია ხომ ემო-
ციურობის გამოხატვის სწორუპოვარი ფორმაა და
მის ინდივიდუალურ სახეს დროის ამოცანები გან-
საზღვრავენ. და იმისათვის, რომ მშვენიერ ფორმაში
გამოხატო კრიტიკული აზრი, გასაქანი მისცე დიდაქ-
ტიკურ იდეას, გამოადგიძო მშობელი ერის მოვლემა-
რე თვითშეგნება, საჭიროა ძლიერი ნებისყოფა, საკუ-
თარ გულში ურყევი რწმენა, რწმენა და ნებისყოფა
ყველაფერს რომ ამარცხებს, საჭიროა მძაფრი და
ხანგრძლივი კონფლიქტი, ბუნებრივ, ღვთით
ბოძებულ შინაგან მრწამსს და ვალდებულებებს შო-
რის. რა ორიგინალურადაა გამოვლენილი ეს კონ-
ფლიქტი ვაჟა ეგრისელში.



პოეტს ეამაყება „ოქროვანი საუკუნის – მეთორ-
მეტის“ გახსენება და მდუღარე ცრემლებით ტირის
დღევანდელი დალატის, გაუტანლობის გამო. პოეტი
მისთვის ჩვეული გულგაუტებლობით და ოპტიმიზ-
მით, მაგრამ მწარე სინამდვილის მოლოდინით ათ-
რთოლებული წერს ასეთ სტრიქონებს:

„ მესიზმრა: ცეცხლი ეკიდა,
სადღაც გიღაცის კერიას.
ვფიქრობდი ცისქვეშ ქვეყანა,
ერთია, განა ორია.
ვაპ! თუ იქ ჩემიც ერია!
სულ მტრისას,
ჯა-ქა – ბორიას.
სამშობლოვ! ჯვარი გწერია“.

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში ხან მხატვრულად
მოაზროვნე ფილოსოფოსი, ადამიანის სულიერი სამ-
ყაროს მბრძანებელი და წინასწარმეტყველი გხიბ-
ლავს, ხან პუმანიზმის მქადაგებელი, კაცობრიობის
დიდი ტრიბუნი, ამაღლებულისა და გმირულის, მშვე-
ნიერების მგზნებარე თაყვანისმცემები, ხან კიდევ
აბობოქრებული ენერგია, საოცარი ძალა, ის ძალა,
რომელიც თოვლიან და ხავსიან კლდეების წვენით
და ხალასით ავსებს იქბისა და ენძელების ფესვებს,
ცეცხლებით აბრდდფიალებს ბროწეულებსა და ატ-
მებს. შესაძლებლობას აძლევს გადარჩეს, ამიტომაც



ევედრება უფალს მამულის კეთილდღეობას და შეს-
თხოვს, „დატოვოს ასე, საქართველოს ცის მაცქერა-
ლი“.

„ოქროცურვილი ვარსკვლავებით
ადიდებული,
დამის ნაპირზე კვლავ გადმოქუჩეს
მთვარის ჩქერალი,
ევდარ აკავებს უსამანო სიგრცის
კედლები.
და ღმერთო ჩემო!
გეაჯები
და გევედრები
დამტოვე ასე
საქართველოს ცის მაცქერალი“.

დალატით აღშფოთებულ პოეტს უმკაცრესი გა-
ნაჩენი გამოაქვს მოღალატეთათვის. პოეტი თითქოს
გულთმისნურად გრძნობს, რომ გაიყიდება სამაჩაბ-
ლოც და აფხაზეთიც და წუხეს და შფოთავს მოსა-
ლოდნელი უბედურების გამო:

„რომ ვითვლიოთ მძვინვარ
ათასწლეულებს,
მტერს ავიწყდება
წვენი ასაკი
და სურს დაგვჩაგროს.



ეჭ, აფხაზეთი და სამაჩაბლო,
ჩვენთვის ეს არის ხიროსიმა
და ნაგასაკი“.

საგულისხმოა ის, რომ მოვლენების გაცნობიერების სფეროში შემოქმედის თვალსაწიერი კოსმიურ მასშტაბებს იძენს და ბუნებრივად ხდება მის პოეტურ „მე“-ს მთლიან სამყაროში გარდასახვა. პოეტის ფანტაზია უნაპიროა, სამანი არა აქვს, მის მხატვრულ წარმოსახვის თვალს ფარდად ეღობება მხოლოდ ერთი ცნება – საქართველო, საქართველო ერთიანი, აღორძინებული და გამთლიანებული.

დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, ვისაც დღეს სრული მორალური უფლება აქვს პოეტური სიტყვა უთხრას ქართველ ხალხს, გაუთვინის ვაჟა უგრისელს. რა დიდებული მოწოდებაა:

„ვუხმობ წინაპრებს –
მტრის დამჯაყელებს
ამაყ თორელებს...
ზეიად ჯაყელებს...
ჯაგუ ეგრისელს... მხეიძეებს...
და გაფრინდაულს.
და... ქართულ სიტყვას
ყალყზე ვაყენებ
ვით პეტრე დიდი
თავის ბედაურს“.



ვაჟა ეგრისელის პატრიოტული ლირიკის ძირითადი ნაკადი ისტორიული წარსულით საზრდოობს, რათა გარდასულ ქამთა გმირული ფურცლებით და-ამშვიდოს შემზარავი აწმუოთ თავზარდაცემული ქართველი.

ვაჟა ეგრისელს უყვარს საოცრად ფანტასტიური ამბავის, მოვლენის წარმოდგენა, ფაქიზად ეხება ადამიანის სულის სიმებს და მკითხველიც უყოფმა-ნოდ ენდობა მის მიერ წარმოსახულ სურათს ფსიქო-ლოგიური ჭეშმარიტების გამო, იმიტომ რომ ფხიზე-ლი რეალისტია და ჭეშმარიტი დიაგნოსტიკოსი:

„კოჭებამდე ძაძებიანს
და ყორნისფერ თავშალიანს
ვხედავ: სხვის მკვდარს რომ დასტირი
გიო შენიანს.

დედა! –

შენი თვალების ზღვა დამშრალია,
დასაღვრელი ცრემლი აღარ შერჩენია“.

ლექსი დაწერილია ათას ცხრაას ოთხმოცდაცა-
მეტ წელს. („წალენჯიხა – 93“). ამ ლექსმა ცნობილი
ბალადა „ლექსი ვეფხისა და მოყმისა“ გამახსენა და
რადაც ტებილი გრძნობა იწყებს აღტაცებულ ქლე-
რას ჩემს გულში, სინათლის მშობლიური ძალა, სი-
ცოცხლე რომ მაჩუქა და ჩემს კვნესას უერთებ გა-
პარტახებული აფხაზეთის სოფლებისა და ქალაქე-



ბის მკვიდრო, ცრემლი მერევა ჩაბნელებული, გაციფ-
ბული, უკაცერი ოჯახების ხილვის გამო, ვნატრობ
უდრუბლო ცას, უშფოთველ ცხოვრების ყველა მოდ-
გმისათვის: „გხედავ სხვის მკვდარს რომ დასტირი,
ვით შენიანს დედა“ – ამბობს პოეტი და გვარწმუ-
ნებს იმ ჭეშმარიტებაში, რომ ქართველი დედა
სხვაგვარად ვერ მოიქცევა. ის ხომ იმ ხალხის აღ-
ზრდილი და აღმზრდელია, რომელიც მოძმისათვის
ნასროლ ტყვიას თავის მკერდს აგებებდა.

მეტად შთამბეჭდავია ლექსი „აფხაზეთზე“. რა
მართებულად ბრძანებს სულხან ჟორდანია: „დიდ ხე-
ლოვანი პოეზიას იქ ხედავს, სადაც სიცოცხლეა“. ვა-
ჟა ეგრისელის ქრისტე-კაცობაზე პრეტენზია შეიძლე-
ბა აიხსნას წმინდამორალურ-ზნეობრივი თვალსაზრი-
სით. ამ წარმოსახვას ასაზრდოებს იმის შეგნება, რომ
პოეტი, რომელიც გასხივოსნებულია დვოიური შთ-
აგონებით მოწოდებულია უპირველეს ყოვლისა ადამი-
ანთა მორალურ ზნეობრივი განწმენდისათვის. ამიტო-
მაც მოურიდებელად კიცხავს და აშიშვლებს არსე-
ბულ უსახურ სინამდვილეს და ქება-დიდებას უძღვნის
საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის
ბრძოლაში დაღუპულ ქართველ ჭაბუკებს:

„ბიჭებო!
ბიჭებო!
მიგყვებათ
სამშობლოს ცრემლი და გოდება,



წახვედით მირონით განბანილნი.

გახურავთ სხვადასხვა ფერის

ლოდები –

ნაჭრებისგან შეკერილ საბანივით“.

პოეტის თვალწინ ბედნიერების პლანეტა ფერ-
მკრთალ კუნძულებად დაშლილა და უიმედოა გაურ-
კვევლობის ბურუსში მიმავალთა გული და გონება,
რადგან მწარეა თანამედროვე სინამდვილე, სიმარ-
თლე ფეხქვეშ ითელება, სიხარულს ფრთები დაემ-
სხვრა. ძნელია, ძნელი, საბედისწერო ფათერაკებით
დანაღმულ გზაზე სიარული. პოეტის მძაფრი სურვი-
ლია სიკვდილს გამოსტაცოს ასოცი წლის აფხაზი
ბერიკაცი, ამისთვის კი საჭიროა გამშველებელი:

აპა, ასოცი წელი გავიდა,
სიცოცხლესა და აფხაზ ბერიკაცს,
ერთმანეთი რომ ჰყავთ ჩაბდუჯული.
ისმის მუქარა...

და ვედრება.

ისმის ჩურჩული...

არ ჩანს სიკვდილი ბრმა და ურჯულო,
რომ ხელი სტაცოს
და გააშველოს.

და მაინც, პოეტს სჯერა ნათელი მომავლის, მის
ლექსებს ხომ ციცინათელასავით შინაგანი, თავისი



ნათება აქვს. მისი ლექსის სხივი ქართველი კაცის გულის ყველა კუნძულში შეაღწევს, ყველაფერში გაატანს და ყოველივეს გააცისკროვნებს. სამშობლო ქვეყნის დიადი მომავლის რწმენითაა აღვხილი და აგერ, პო საოცრებავ:

„დამეს მზე მოჰყავს ატაცებული,
ვით ყრმა იქსო ქალწულ მა-
რიამს,

და ვით ნათელი მომავალ დღეთა –
ქართული ციდან მირონი წვეთავს,
წვეთავს იმედიც და მიხარია!

პოეტი ელოდება იმ მზეს, რომელიც ჩვენი სამ-
შობლოს მთებიდან ამოდის და ერის ერთად გადაწ-
ნული გულებიდან რომ იბადება მხოლოდ.

პოეტი, თავისი ეპოქის, დროის საოქმელს ამ-
ბობს განსხვავებული ინტონაციით, სტილით და უნი-
ბურად გახსენდება: „დაუდეგარი ფიქრთა ფრთებით
ვაჟა ეგრისელმა: ქართველთა, კახელთა, სვანთა,
მეგრელთა, მესხთა, აფხაზთა, გურულთა, იმერელთა,
რაჭველთა, ხევსურთა, აჭარელთა, თუშთა, მოხევეთა
– ერთიანი, განუყოფელი საქართველოს პოეტური
ხიბლი შექმნა თავის ბრყწინვალე პოეზიაში“.

ვაჟა ეგრისელს კარგადა აქვს გაცნობიერებული,
რომ საქართველოს გარეშე მტერი ვერას უზამდა,
თუ არა ეს დაუძლეველი გრძნობა ურთიერთშედლი-



სა და გაუტანლობის, მწარე ისტორიულმა სინამდვი-
ლებმ არაერთგზის ათქმევინა პოეტს ამდაგვარი საყ-
ვედური:

„ქართველს არასდროს არ ჰქონია
თავზე საყრელად,
მაგრამ ო, ახლა,
სიყვარული უფრო გაძვირდა,
რომლის გაცემას სხვებისთვისაც
არ ვიზარებდით
დღეს,
ძმათა ნაგებ რწმენის ტაძრიდან
შიშს და სიძულვილს რეკენ
ზარები“.

ციალა მასხია
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი.

ნაწყვეტი წიგნიდან – სახწაული და ფანტაზია
(ფიქრები კაჭა ეგრისელის პოეზიაზე)

გაგრძელება შემდეგ ტომში



ენგური და მანგანა

როცა შექმნა უფალმა,
მთვარე – “ა”-ს და
გზე – კი “ი”-ს
და კოლხეთს¹ მიამგვანა.
ხვიჩა-ხვიჩა გარსკვლავებს ამბობს
ცა-ოქროპირი.
მთიდან ამას მოყვირის –
ენგურიც და მანგანაც.

1962

პოლნაა თუ ჩეთია

გზებით პრეისტორიის –
არ ვეშვები ხეტიალს.
ბრუნავს ჟამთა მორევი.
კოლხად თუ ხეთია,
ერთი არა,
ორიგე,
ჩემთვის ჯოჯოხეთია.

1961



მე, ჩემი თავი მენანება,
რადგანაც უფლის რისხვად დატეხილ,
ვეღარ გავუძლებ მე გენიას.
ამდენ სიხარულს, სიყვარულის ამდენ
წამებას.
ცეცხლსა და მახვილს...
და გპენიას.

1971



იდუმალ სამყაროს წარღვნამდელს,
 ჩემი წინაპრები რომ ნაღმავდნენ –
 მითებით და ლეგენდებით, –
 მიღმა რვა ათასწლეულის,
 ვით რიფებს, დღეს იმათ ვედები
 და დავალ კოლხეთით სნეული.

1959



* * *

ზღვას ბანჯგვლიანი ხელები,
გულზე კვლავ დაუკრეფია
და ეფინება მთვარის არილი.
ნაპირს უხდება მოქათქათე
ქაფის ქამარი,
ერთი ტალღა კი ქედდაღრეკილ
ნიშა-ხარივით,
ლოდს ისე ლოკაგს, როგორც ქვამარილს.

1966



ჩვენ, ვითარცა ყარაჩოდელს,
სიყვარული ოქროს ქამრად
და სატევრად უნდა გვერტყას,
სანამ ჟამი ყოფნის ხიდან –
კაკალივით ჩამოგვბერტყავს.

1998



სტიქსი და ჯეონი

ცისქვეშ გერ გპოვეთ თაგმესაფარი,
თუმცა არყოფნას
დიდხანს ვეომეთ.

ყოფნის ნაპირზე ვსხედვართ ისევ
უსახლკარონი.

და სტიქსეც¹ მიდის, როგორც ჯეონი²,
მიაპობს ტალღებს და
ძახილი გვესმის ქარონის.³

1960

1 – სტიქსე – მიწისქვეშეთის მდინარე

2 – ჯეონი – სამოთხის მდინარე

3 – ქარონი – მენავე, რომელსაც სტიქსეზე გადაჰყავს
მიცვალებულთა სულები



მამულის სიყვარულში გაპარულნი,
მე ვიცი სამთხეში
ვინც არიან,
კუპრში მყოფთ ეწვით დაწვი წყლულით.
ცა – მოკრიახე ციცარია,
მნათთა სისხლის წვეთებით
დაწინწკლული.

1978



ალფა და ომება

მიტოვებული ტაძრის კედლიდან,
არყოფნას უღრენენ –
ფრთიანი ლომები
და ლოცვა მოისმის ცამეტი
ასურის.
ლექსია შენი ალფაც და ომებაც –
დასაბამი და დასასრული.

2000



წარსულიდან ვიღაც ყივის:

— სამეგრელოს ისტორიას,

წირსფალცალო მუკუხეთო.¹

მე წამი არ მიცხოვრია —

უპონტოდ და

უპოლხეთოდ.

1997

1 — ჭირისუფალივით უსხედართო — (მეგრ)



ისე აწყდება ნაპირს ტალღები,
თითქოს მითრიდატ პონტოელის
ლაშქარია და
სურს ააოხოოს ჩემი ხორგა და
ქარიატა,
მაგრამ დამბების კარს ვერ აღებენ.
რომ ქრის, წარსულის ზღვის ქარია და
მოაქვს სურნელი –
ძველი კოლხური ოქროს ბადების.

1970



ნირს ვერ შეუცვლის ყოფნა,
არყოფნას
და ვედარ გაჭრის “ვალეტი” “დამას”
(ამ ამოცანას მეც აკხსნი მარტივს).
მეც გულის ჯიბით, ვითარცა კარტი,
სიცოცხლე არა,
სიკვდილი დამაქვს.

2004



* * *

თეთრწევერიანი კლდე იალებს სახედ
ბეთქილის
და ეს ჩანჩქერი თმებს რომ იშლის,
თითქოს დალია –
ოჩოკოჩისგან ძილდამფრთხალი და
ნაწვალები.
და რომ დაგვცერის ცა –
უფალია,
მირიად მნათთა მოწყალე და
მშვიდი თვალებით

1978



ტალღების ჩქამი
 თვალცრემლიან ნაპირს ეფარვის,
 თოლიები კი თეთრი ფრთებით თოვენ
 მოწყენას.

ცა თმას იგარცხნის ცისარტყელას
 ფერად თითქმით.

მე შორეული მოგონების
 ნელ ცეცხლზე ვთბები
 და ვხედავ: ქარის გალობაზე
 ამაღლდნენ ზღვები,
 და ციკ ლაქვარდში
 წვიმის სველი ხმები ინთება.

1964



პრმაზი

ლაშვარდოვან ფსკერს გუჭვრებ
წარსულის...

იყო წარსული, —
ჩანს ყველაფრიდან...
საუკუნეებს ფარ-შუბები ჰქიდია ხშირი...
დროის პამაკში
მთვარესავით
წევს სერაფიტა,
დაჟყურებს ღამე, შუბლშეკრული
პიტიახშივით.

1971

ଓଡ଼ିଆ ୧୫

დამძიმდა ფიქრი,
თითქოს მკვდარ დამეს
ცის ბალდახინით
მარტოდმარტო მე მივათრევდე.
და პა, თენდება...
როს გალობა ჩიტის მოისმა,
მაშინ, უეცრად
დათოვლილმა
ჩემმა ფიქრთა სემ
საგაზაფხულო ხმები მოისხა.

1971



მომხმარევება

მომეჩვენება, რომ შემძულდი
და დამავიწყდი,
გადამავიწყდა
ის ცრემლებიც,
რაც რომ გადინე,
მაგრამ იმწამსვე,
წარსულ დღეთა ცისფერ ბილიკით
ჩამობრძანდება სინამდვილე
და შემახსენებს,
რომ ყველაფერი არის პირიქით.

1963



მამის საფლავზე

როცა დუმილის გზებით ჩაგუვლი
ლოდებს...

(სიკვდილზე უამური ფიქრიც არა დირს)
ასე მგონია:

მამის საფლავზე

მამის წვერივით ამოსული ლბილი
ბალახი

მთხოვს მოფერებას.

1965



ჯოხს დაყრდნობილი მოდის სიბერე
და წყევლა-კრულვით მოჰყვებიან
მშიშარა წლები.

სიცოცხლეც შიშობს,
დამეები სიბნელეს ყეფენ,
და მზეც კანკალებს...

და სივრცეს ჩხვერს, როგორც
ღვინია.

სიკვდილი?
სიკვდილი არის ამქვეყნის ღმერთი და
მეფე,
სიკვდილს არვისი და არაფრის არ
ეშინია.

1985



ალუბლის ტოტი

ზამთრის ნაკვალევს მისდევს აპრილი.
სერავს ტრამალებს,
ტუნდრებს, ტაიგებს...
ტყეში გაზაფხულს გაჰკივის ჭოტი.
მიწას სტკივა და...
მიწის გარდა
გერვინ გაიგებს
კვნესას თოვლისგან ჩამოტკილ
ალუბლის ტოტის.

1967



გარსპოლავეთი

დაბადებიდან მიხმობს ზესკნელი,

ზეცა ზღვაა და

გზას მივიკვლევ

მთვარის საჭეთი.

რეგენ სიშორის ცივი ზარები...

გარსკვლავეთი კი –

ბაჯადლო არის ნაჭედი –

ბექა და ბეშქენ ოპიზარების.

1978



ყალყზე მდგარი და ფაფარაშლილი,
ჩემი დღეები

ველურ ჭიხვინით
გადიქროლებენ ჩემს სიცოცხლეს
ურა ცხენებად.

და... მე

წკვარამში გაპლაკნილი
ელგის ბილიკი
მარადიულ გზად მომეჩვენება.

1973



ჩემი სურვილი

მე ისევ ვდარდობ დედამიწას –

მოქსოვილს გზებით,

და ისევ ისე,

სიმაღლის და სიცოცხლის

მჯერა.

ჩემი სურვილი

კვლავ ზის რწმენის

ლამაზ ბუდეში,

იბუმბლება და ეზრდება ფრთები

და შორს გასაფრენ სივრცეებს

ზვერავს.

1966



နာမြတ်စွဲ အာမာ

မိမိဖျက်ရေး ပာဇ္ဈိုင် ဖွေတော်-ဖွေတော်
 နာမြတ်စွဲ ဇာများ၊
 ဝါဆိုစွဲ မြတ်စွဲ
 ဂားအဖွဲ့များ
 ဖွေရာဇ် ကာလိုင်း၊
 စိမိဒာန်း စိမိဒာန်း နှိမ် မာမျှလိုင်း。
 မြနှောက်တာ ဒေါက်လွှာ (မြှောက် သာဒ္ဓာ)

လျှော် မတော်ရေး ပြောလိုင်း
 ဗုဒ္ဓနာဂုဏ် မြတ်စွဲ
 ဇာမြတ်စွဲ မြတ်စွဲ

1961



ზღვა აქვე, –
კარის მეზობლად სახლობს,
სულს ლოცვად
ხშირად აღავლენს ცაში.
მერე ნაპირთან დადლილ ზვირთთა
ისმის ნადური...
და ნავში ჟონავს წუხილი მლაშე
თვალისწილი დამის
და მებადურის.

1960



მთვარე

დედამიწაზე, ვითარცა ვარცლზე
ქინქლებად ყრია

წუთი და წამი.

სადღაც მამალი მზეს უყივის უკვე
მეათედ

ჭრიალ-ჭრიალით,
ვარსკვლავებით დახუნძლულ დამეს
კვლავ ცალუდელა მოვარე მიათრევს.

1965



პატარა ჩიტი

პოი, წმინდაო,
დაფიონის შუქით შემკული
ჩემი დღეები,

სიჩუმეში რომელიც ილტვის –
ხელში მიჭირავს ცისარტყელას
ფერადი კუდით.

და სიყვარული –
მგალობელი პატარა ჩიტი,
ჩემი სიმდერის მაღალ ტოტზე იკეთებს
ბუდეს.

1962



ზღვამ იგალობა ქარში მწუხრის
საგალობელი
და ჩამორეკა სიმყუდროვის
ზარები ცივი.

ციდან თოკით ჩამოჰკიდა
ყივილი ყანჩამ.
აიმდგრა სივრცე,
შეღამებას თოლია კივის,
დასატირებლად ცა ღრუბლებს დარჩათ.

1957



გარმია

ცეცხლის მახვილით
საქართველოს მოკლეს
წარსული
მტრებმა?
და მერე თითო ნაჭერი
დარჩა ხალიფას,
შაჰსა და სულთანს?
მაშ,
რად მოისმის წარსულიდან ხმები
საჭრეთლის?
ქვის ტალანებში რად სალბუნობს
წარსულის სუნთქვა.

1965

შამოიმართნერ მთები

შამოიმართნერ მთები – სამეგრელოს და
ურთის

და ვხედავ: მყინვარს თოვლის
თეთრი ხელები უთროის.

დაგალ...

მამულში ვეძებ,
ვედარ ვპოულობ ვერსად, –
სხვა აჯამეთის ტყეს და,
იებით მყვირალ ფერსათს.

1971



ნაკადული

ცის აივანზე გადმომდგარი მზე პირს
იბანდა,
სიმაღლეს ვსვამდი
თხის ყანწივით მოხრილ ბილიკით.
მთით ნაკადული ჩამორბოდა შიშველ-
ტიტველი,
თითქოს მეძახდა:
მოდი,
მიშველე!..
გამახსენდა და...
აქვითინდა ჩემი ბავშვობა.

1959



ტალღები მშიერ ავაზებივით
სანაპიროზე
ჩემს ნაკვალევს
ჩუმად ყნოსავენ,
მერე მოდიან გრიგალები და ხარხარებენ...
ეს დღისით,
მაგრამ, როცა დამეა,
დარდით მოსილი ჩემი ზღვები,
როგორც ხარები,
უკან მომდევენ...
და მომბლავიან...

1961



შუბლშეჭმუხვნილი იდუმალების
და სივრცეების

მბაფრი წყურვილი
დამფრთხალ დამეებს თვალწინ
მიღრღნიდა,
აქუცმაცებდა მზესუმზირებად,
ჩემი სევდაა
ის ვარსკვლავი –
ცათა სიღრმიდან
გათენებამდე რომ იმზირება.

1966



პონტოს ნაპირას –

ლეგენდების

მზიან ბუდეში –

ჩემი კოლხეთის ზის ისე, ვით

უცხო ფრინველი

და ჩეკს სიყვარულს...

აღტაცებას და მოკრძალებას...

ზოგჯერ, ო, ზოგჯერ,

ავბედითი ცეცხლი იალებს,

და ცეცხლში მესმის მე

გრძნეული ამორძალების

შუბთა შხუილი, ყიჟინა და

ფართა ქრიალი.


1975



შიგის მამალი

ომების კვამლით გადახურულ
ასწლეულების
ხეივნის ჩრდილქვეშ –
რა უდარდელად ჩასძინებია
გლეხკაცს ჯალაბით,
სარდალს ამალით,
და ჟამს ცისკრისას,
დაღლილები რომ გააღვიძოს, –
მილიონი წლის უდრანიდან ყივის მამალი.

1979



* * *

გამოიღიძებს უდაბნოს ქარი
და ფრთებით დაფშვნის
ბრინჯაოს კლდეებს,
რომ ფიქრთა ქროლვას
მეტი მზე და
ნათელი მისცეს.
მილიარდი წლის უდრანიდან
გამოვა მთვარე
და კვლავ იდარდებს
ვარსკვლავებით დაცხოლულ სივრცეს.

1970



დღისით და დამით აღარ ისვენებს,
ხეს სიცოცხლისას
მწუხარების უსვამს შალაშინს
გარდაუგალის გარდუგალობა
და მაინც სადღაც,
სიყვარულის ისმის გალობა
დარდით გაფოთლილ დამის ჭალაში.

1966



ბალახის ფოთლები

ნუთუ ღამეა და მე და შენ მარტოკა
დავრჩიო.

უოლტ უიტმენი.

ახლა ღამეა და მე და შენ მარტოკა
დავრჩიო,

ჩაგცერი ისე, ვით მდინარეს
დაღლილი წერო,

და ჩვენ თანდათან გხდებით მოყერები.

დიდი ხნის მერე ჭმუნვით ამბობ, ვითარცა
ჰერმეს:

“აწი ვეწევი ზეციურ სფეროს,
დრო მოვა, ყველა თან გამომყვებით”.

ახლა ღამეა...

შენი სუნთქვა მიჭირავს ხელში
და თეთრ საწოლზე

და ფიქრებზე გულალმა ვწევარ.

ახლა ღამეა,
მომწყვდეული წიგნში ზღვა ხვეშის,
ისმის ანძების ჭრიალი და ტალღების
რწევა...

1971

თითქოს კართან მდგარ ალვის ხეზე
დაამყნეს მთვარე, –
ფეხს აღარ იცვლის
და დილამდე მიჭვრეტს საამოდ...

1978



სურო

ქონგურით ხერხენ ციხეები
საუკუნეებს...
ომებში ბევრი ციხე მოჰკლეს,
ბევრმა იცოცხლა
და მტერთა ჩვენთა მზერა მოისრა.
და ახლა ციხის კედელზე რომ
სურო მიცოცავს,
სურო კი არა,
სული არის მეციხოვნისა.

1970



ღუთისოველი

ქალაქს წასული ცოტა ხნის უკან,
დავბრუნდი სოფლად მხიარული
და მიხარია.

ვუხმობ მეზობლებს: –

ივანე, ლუკა, ძაკა,
გაგია და კესარია,
სად ხარო!...
?!...
ქვითინებს უპატრონო ეზო და შუკა:
აქ იყვნენ...
ახლა აღარ არიან...

1968



ბეპრის ციხე

აწმყოს და წარსულს დაბჯენია,
როგორც ყავარჯნებს,
დაღამებია თვალები

ორბის

და ბრმა თვალებით გზას
გაჰყურებს...

თუმც არვის ელის.

გამხმარი სურო მის მკერდზე
მოპგავს

ნაწერს ძველთაძველს
გაკრული ხელით.

1971



რიონის პირას

დამურას ფრთიდან

გამოფრინდა ყირმიზა ბინდი

და ორშაბათის შესახვედრად წავიდა

კვირა

და ხმის გამცემი არავინ

არ ჩანს.

მხოლოდ შორს სადღაც,

რაიონის პირას –

კვლავ ერთადერთი ანთია ყანჩა.

1978



ცოქფიშრნი

ენთება... ქრება..

მოკვდავების ბედის ვარსკვლავი,
ომები...

ცეცხლი...

ქვა არ რჩება მარადის ქვაზე....
დედამიწას კი დვიძლ დედასავით
თოთო სიცოცხლე შეუსვამს მხარზე
და გზას მიჰყვება მარადისობის.

1978



ნაციხარი

ცა იღრუბლება ჩემი წესილით,
გზივარ ცივ ქვაზე
და არავის არ ველოდები,
არც მეციხოვნეს, აღარც ლაშქარს,
და არც ქვით-ხუროს.
მე ახლა მხოლოდ
მომხდეურისგან
ნატყორცნ ლოდებით –
ქართლის ავბედით წარსულს
ვკითხულობ.

1969



80636

წუხელ ზამთარი
ფანტელების თეთრი მხედრებით
მოვიდა უცებ და ლაფაროზე
კვლავ ჩამოჰკიდა
წამახული შუბების ბრწყინვა.
მერე ცისკარისას
პატარა ღელე
ჭიქა წყალივით დალია ყინვამ

1974



მამლის ყივილით იბზარება ღამის

კედელი

და ჰა,

საცაა ჩამომექცევა...

წახველ...

მომწყურდი!

და სიშორეს გზები გმინავენ...

მოგონებები –

წეროებივით

ყელგაწვდილები – მოგყივიან...

და მოფრინავენ.

1971



პროანისი

შუაღამისას წამოდგება ლანდი
სამასი

ნაომარ ველზე
და დილამდე დაიარება...
და ხევსურივით ასგან ნახმლევ სახეს
თბილისის.
დღესაც ატყვია კრწანისი, როგორც
ყველაზე დიდი ნაიარევი.

1966



შეცარი შეღამება

შიშველი ელვით და სიმყუდროვით –
ფერმკრთალი სივრცე
წუხს განგმირული
და ცრის სიჩუმეს ბნელში
მღვრიე ცა.
ცოტათი ადრე,
ჩემთან ერთად თვალი მილულა
დღემ... და
ხვალისთვის ფიქრებს მიეცა.

1965



საშპუნენი

სარკოფაგიდან წამომდგარან
საუკუნენი
ციფი სიჩუმის ზარით
და ბუკით,
და დავიწყების ქონგურებზე დააბიჯებენ.
მეციხოვნებს უყივიან...
და უპვირთ, უპვირთ,
რომ აღარ სჩანან
ციხისმცველი კარგი ბიჭები.

1971




სათაფლია

ვაღვიძებ მძინარ ათასწლეულებს –
ლეგენდები რომ
უდევთ სასოფლად.

სათაფლია კი
სიცხადეში წვეთავს თაფლივით.
დამე ბნელს მოსოდებამს ზარით –
მოზარის,
და ჰა, ცისკრისას,
სტრიქონებში შემოვიტყუე
ვევბა ხსოვნა დინოზავრების.

1978



ତ୍ୟରେ ଉପରେ

მიმწერის პირზე

ადარ ისმის ხეთა გალობა,
ვით სამლოცველო, ტყე დამხობილა,
აღარსად ბრწყინავს მარის ვარსკვლავად
კურკანტელების მწიფე კუმპალი.
და სულთმობრძავი ნაკადულის
ციცქა საფლავთან
გდგავარ, ვითარცა გულდამწვარი
ჭირისუფალი.

1974



არაგვისპირას

ცა ხამუშ-ხამუშ ზამთარს იცოხნის,
წუხან ხეგები

ქარებისგან გადაბელილი
კისერზე დადგმულ ზვავების უღელს,
არაგვისპირას გაწოლილა მთა
ძუ მგელივით
და ბარს მშიერი
თოვლის თეთრი
კბილებით უდრენს.

1970



მიწა ღმერთია

მიწა ღმერთია
 მოხუცი და გაუპარსავი,
 ჩვენს დიდ ოცნებებს
 აკვანს რომ ურწევს,
 გაჩენის დღიდან მტირალი ცა,
 მტირალ ყმასავით,
 ღრუბლების ჩვრებში შეხვეული
 კალთაში უწევს.

1965



მზე

ამქვეყნიური სიავკარგე,
სიკვდილ-სიცოცხლე
აღმოსავლიდან დასავლით
ზიდა
და ჩაიძირა სიჩუმეში.
იგი დღის დამლევს,
განთიადამდე ნელა-ნელა,
ხომალდივით ამოქვთ ზღვიდან
ყივილის გრძელი თოკებით
მამლებს.

1971



* * *

შენდობას ვითხოვ,
თუ შემშლია ალილუა,
თუ ზოგჯერ ლოცვის თეთრ უღელში
ვარ შესაბმელი
და მოსვლის დღიდან, შენს სახებას
ჩემად რომ ვხატავ,
თავზე თუ მხერავს შენეული ეს
კრეტსაბმელი,
შენი ბრალია,
რად შემქმნი, დმერთო, შენს ხატად.

1974



ზიხარ მოწყენის შიშველ ნაპირთან,
ალბატროსიგით ფრთებს შლის ფიქრები
და მიფრინავენ მაღლა,
სულ მაღლა...
ირგვლივ ყოველი იდუმალი
ხმებით მოცულა.
“თუ ჩემი ნავი აღელვებს ტალღას,
მაგ ნაპირისკენ
არ გამოვცურავ”.

1967



0სეგ

ისეგ ციმციმებს ლურჯი სანთური –
სიკეთის, მადლის,
სიყვარულის და
სიძულვილის,
ისეგ გრძელდება საწუთოს და
ბედის ტრიალი.
და ფრთამოტებილ, ყანჩასავით –
ჩემი სურვილი
ცას გაჰყურებს და...
ისეგ წრიალებს.

1971



მოთხვეა

ჩემს იმედიან გზებს
და ბილიკებს
უიმედობის შავ გორგალზე ისევ ართავენ –
ფარისეველნი...
და პირმოთნენი...
და მსურს ვიყვირო:
არც ღმერთია!
არც სამართალი!
მაგრამ, მოდის და თითქბს ტუჩზე
მადებს – მოთმენა.

1973



მეზე დაგითი

თვალებში

ქართლის წარსულს ჩავცეკერი:

მესმის ყიფინა, გმინვა, გნიასი,

ვით საზღაურის მტრისთვის მიგება.

სიკვდილ-სიცოცხლის ჰარმონიაში

ხმალი საბრძოლოდ ელვასავით

მიიღრიკება.

დიდგორის მკერდზე სისხლთა მნოხეველი,

ქართველები კვლავ დგანან პირველნი,

და საქართველო –

მათი წმინდა საკურთხეველი,

სავსეა თავით, – შესაწირველით.

დადლილი მთები დგანან უძრავად,

დამით ტანჯული მოლოდინი

წამებს დაითვლის,

და... აჰა! ბნელში, ქართლის

მტერთა შესამუსრავად,

მოდის სიკვდილი! – მეფე დვითი.

1979

პვლავ კვალში მიდგას, რქები აქვს ვერძის
და ტახის ეშვი.
და... მოსვლის დღიდან მეძებს და მეძებს
ნადირს გეშით.

1989



ჰყივის სიცოცხლე...
და ჩემი ფიქრი,
კვლავ მიუყვება
გარსკვლავების
ყვითელ ქვაფენილს
და გზად აწყდება უპვე მეასედ,
ღამის მიღმიდან გამონაფრენი:
მთათა გალობა,
ზღვათა სევდა,
მიწის გნიასი.

1984



უფალი ჩემში განვასხეულე...

ჩემი სიცოცხლის გაზაფხული

დღეებს უკვირდა.

და დამეებიც მომყიოდნენ, კითა მართვენი.

გარდახდა ქამი


და გავედი სიჭაბუკიდან.

და აი,

ახლა,

სიბერისკენ მივემართები.

1974



ბეჭის გარსკვლავი

ყოფნა-არყოფნის შუა პარალელს
მუდამ ვავლებდი...

ხმები, ვით ადრე,
მიიღებიან აღმოსავლეთით.
მაგრამ, შენ, ჰე!

ბედი სარ, თუ
ბედის ვარსკვლავი,
დღითიდღე მიხვალ სადღაც, დასავლით.

1970



ასე მამყოვე

მოფრინდებიან ოცნებათა ფარშევანგები,
ფრთებდახუნძლულნი
იმედების ტკბილი ნაყოფით;
მაგრამ, ო, ზოგჯერ,
გაიელვებს ფიქრი უჟმური...
გემუდარები,
სიკვდილამდე ასე მამყოვე –
შენი ლამაზი სიყვარულის
ფრთებს შეყუელი.

1978



სოზელზი

სილურჯესა და სიანკარეს წუხეს

ხობისწყალი

და მთების დარდებს

ზღვისკენ მიათრევს...

მწუხრი შორს ჩანდა.

მაგრამ მაინც

უცებ შებინდდა.

და აი, ახლა,

ციცინათელას დაჭრილ ფრთებიდან

წვეთავს და წვეთავს ლურჯი სინათლე.

1964



ედელვაისი

დარეკა ქამმა, —
შეეპარათ ქედებს ჭაღარა,
დღეებმა თავი
საკუთარი
აღარ დაინდეს...
ცამ მოიწყინა... და წაერთვათ
მინდვრებს ხალისი.
მთებმა კი დამით აჯანყებულ
მკერდზე დაინთეს
თოვლი და... თეთრი ედელვაისი.

1959



* * *

1981

ზღვა ისევ ბორგავს –

ქარიშხალის ჯვარზე გაკრული.

ჩუმი ბდავილით მშობლიურ მთიდან

მოიზლაზნება მდინარეთა გამხდარი

ჯობი,

გავცემი ღელვას...

და მე ღელვის ნელ ცეცხლზე ვთბები.

აფროდიტემ კვლავ

გაშალა თმები

და აპა, უცებ დადამდა სივრცე.

1972

ოლგოთის აკადემია

სპილეო

დღისით და დამით კორტნიდნენ სივრცეს
და ზღვის წუხილი დადგეს

ზვინებად,

დავიდარაბით, ცრემლით და შფოთით,
მერე ჩამოსხდნენ ჩიტებივით

სველი წვიმები

და ჩამოტეხეს ცისარტყელას

ფერადი ტოტი.

1952



ჩემი ალექს

სიცივის ხელით
ცამ მიწაზე დაამყნო თოვლი,
სიმყუდროვე და სითეთრე ჰყვავის.
და ზამთრის წესილს თუ გადაურჩა,
სილურჯეს გაფენს ია და ბალბა.
და კართან მდგარი

მოჩიტული
ჩემი ალექს –
გულამდე ჩაჭრილს ჩაიცვამს კაბას.

1958



დაცლილ ყანწს ჰგავს
 მდინარეთა ნაკვალევი,
 არ სჩანს მოვარე,
 არცა მოელი, არც ნალევი.
 შორს, მოებს მიღმა ურთაა და დარჩელია.
 და შავი ზღვა, ვით ფიალა დასალევი,
 თვითონ ზღვის ღმერთს, –
 პოსეიდონს დარჩენია.

1958



აპა, ეს ღამეც,
მარადისი, ღელვას მინებდა,
სიჩუმის ფსკერზე კრთიან ვარსკვლავნი –
ჩემი კოლხური ღამის ფესვები.
ფაზისის პირას ლეგენდების იწვის
ზვინები
და მე სიშორით...
და სინათლით
თვალი მევსება.


1961



වර්තමාන ජාලය

არავინ იცის,
ზღვა გულმოსული,
სანაპიროზე ჩამომჯდარ ლოდს
როგორც ედავა,
ან რატომ დუმდა ლოდი,
მისი მონა-მორჩილი?!
და მე ვიხილე ერთი ტალღა
კუდამოჩრილი,
ქარს როგორ გაყვა ბნელში
უკან მოუხედავად.

1986



სული

გაქცეულს ამა სოფლიდან,

ვითა ყორანი, მიჩხაოდა

ბედი მდევარი...

მაშინ ცოდვა-ბრალს ვინდა განსჯიდა.

კუბო კი არა,

სული ქვეყნად დაუტევარი,

ჩამოასვენეს მაშინ

განჯიდან.

1959

* რამზეს მეორე – (XIIIს. ჩვ.წ. აღ.)



ზღვა

უშლევს ეპარება ნადირივით,
ჩქარია,
და განა მდორეა,
ცბიერიც და თანაც აშარია
ზღვა,
თითქოს რამზეს მეორეა*,
ზვირთები –
მისი ლაშქარია.

1964



მიღმა ათასწლეულთა,
წინაპარი კოლხები –
(სანები და ზანები)
ღმერთს დიდებით მოსავდნენ.
და ისინი პირველი
იყვნენ ქრისტიანები,
ჯერაც ქრისტეს მოსვლამდე.

1964



წინაპართა სალოცავი,
კოდხთა ღმერთი არ ჩანს –

ოდო.

მე კი დრო და უამი მირბევს:
ბაბილონის ცასმწვდნენ გოდოლს,
“მამებისგან ნაწერ
კვირბებს*“.

1966

* კვირბი – ტყავზე ნაწერი წიგნი.

მარადისობის ხე

ცაც –

მარადისობის ხე

და ცვივა სიცოცხლის ნამი

(მოკვდავნი ასე რომ ნატრობენ.),

დღის –

დედაქალაქია მზე,

და მთვარე –

დამის,

იქ ვარსკვლავები და მიცვალებულთა

სულები ბინადრობენ.

1967



შუმერულს და აქადურს

ახლაც ჩემი კოლხი პაპა,

ურთას მთიდან –

ხეთისკენ*

მორაკრაკე ნაკადულს

ყურს უგდებს და ნათლად

ცნობს:

შუმერულს და აქადურს.

1967

* ხეთა – ანტიკური სოფელი ხობის რაიონში.

სინათლის წლების და ფერების
მოისმის მსხვრევა და

წერიალი

და შორით დამზერენ ვარსკვლავთა

მწვერვალები:

ცის დახლზე შემომდგარ მთვარის

თეთრ ფიალას, –

აღსავსეს ჩასული მზის

ელვარებით.

1989



ბაზებაშვილის და შავიტების

უველას შიშთვილი* მოგელით,
ვინც საქართველოს ლამაზ ცას
თავს რომ ყასიდად აფარებთ:
(და სამშობლო რომ გაყიდეთ!!!)
შადიმან – ანდუყაფარებს,
ბაღვაშებსა და ყაყიტებს.

1995

* შიშთვილი – საბეჭი, თოკი.



ვმიღება განკურენი

მწერისას სინათლის ზარებს

რეპენ და...

ეს ის ხმებია,

არყოფნის ყინულს რომ ალხობენ.

მთიები –

წმინდანებია,

ცის ტაძარში რომ სახლობენ.

1982



ვრმსპებს შეხეხიხები

ელგასავით ფრთასა შლი,
ქუხილივით იზრდები,
შენ ხარ უფლის წინდავი.
კიდევ ცოტა გაძლება
და შენც, როგორც წმინდანი,
ცამდე აწვდილ ტაძრების
ფრესკებს შეეხიზნები.

2004



გარსკვალვი ცვენა

ლამემ ჩუმად გადასწია
თეთრი ღრუბლის
თეთრი ფარდა
და ცა დაქმსგავსა სცენას.
ალარც თოვდა,
ალარც წვიმდა.
ცისქრისას კი ვარსკვლავები
მეტისმეტად გადამწიფდა
და დაიწყო დაბლა ცვენა.

1969



ორი სხივი

როს გაშორდა დამე დღესთან,
თავს დამადგა ტანის რწევით –
ორი სხივის ათინათი.
ერთი მივამსგავსე ნესტანს
და მეორე – ონათინს.

1966



ასვოთოლა

აღარ გინდა ბედი განა?!
საბერძნეთი კი არა და,

ცისქვეშეთშიც აათროლა:

კოლხურ –

“კურა – მედიანამ”¹
და მედეას ასფოთოლამ².

1968

1 “კურა – მედიანა” (ბერძ.) – მკურნალობა
2 ასფოთოლა (ბერძ.) (მოლი) მედეას სამკურნალო
ბალახი.



გარდების სასახლე

მიწისაკენ მიიღობის –

მნათთა მიღიარდები,

რადგან იმათ იციან –

სამოთხეა –

ცხოვრება –

სასახლეში ვარდების.

1969



ქრისტის ქითონი

“...მერე ასისთავმა ლაზმა ტანსაცმლის
თავისი წილი (ქიტონი ვ-ვ) მიიტანა
თავის ქალაქ ფუდში, – ეგერთა
დედაქალაქში”.

მიქელ ასური.

ათასი და უფრო მეტის
წლის მერე კვლავ მიამიტობს
და ვიღაცა სხვაგან ეძებს –
გოლგოთიდან წამოდებულ,
ფუდს¹ მოტანილ ქრისტეს ქიტონს.

1962

1 ფუდი – ფუთი (მეგრ.) ფოთი.



ცა –

უფლის ტაძარია,

ღრუბლები – ბერებია,

ანაფორის კალთებს რომ იშრობენ.

მთიები –

ანგელოზებია,

ფეხს ბანენ მთვარეს –

მარიამ ღვთისმმობელს.

1968



აქციუსი

ღვთისგან მივიწყებული
და უდაბნოდ ქცეული
ეგვიპტე აქციუსმა
(იგივ კოლხმა აქციამ.*)
უკვდავ “ჰელიოპოლისად” –
მზის ქალაქად აქცია.

1964

* აქციუსი (აქცია) კოლხეთის მითიური მეფის აიეტის ძმა.



რიზა და აგადჰარა

ქვე,
გინ იცის,
სიხარულის,
უცებ მოაყვიროს გემბა.
ჩემი გული ავად არის.
მაინც უსმენს მაჯისცემას –
რიწისა და
ავადჰარის.

1994



პოეტობი და პეტერენი

მზისებრ თვალებხილული,
ცისებრ ყურთამსმენელნი,
გულში ჩუმად შესთხოვენ –
ხილვას –
ბრმა ჰომეროსის,
სმენას – ყრუ ბეთჰოვენის.

1993



იდუმალებით მოცელ
ზღვის დანისლულ კაპრიზებს,
აღარ უჩანს ბოლო და
აღარ უჩანს სათავე.
და ქარი ყრის ნაპირზე
ზეირთთა მწიფე
თავთავებს.

1986



ყოფნის მწვანე მინდორზე,
ლამაზი,
ვით პეპელა,
ჩვენი სული ცახცახებს, –
გართულია უზომო კეთილ საქმის
კეთებით.

სანამ კუბოს (სასახლის)
მდუმარე ცხრაკლიტულში
უხმოდ ჩავიკეტებით.

2006

აიგთის და ფართაზის

იყვნენ სხვებიც...

მაგრამ დოო-ჟამს,

სიტყვა შერჩა ორად-ორის,

რომელთ უფლის ნიჭი აზის:

ორი დიდი ორატორის,

“ორი კოლხი ციცერონის” –

აიეტის და ფარტაზის. (VII.)

1966



სიმამართის სიმამართის სამება

რწმენის ქვიტკირით ნაგებნი,
ათასწლეულებში გაძლებენ;
წირვით და ლოცვით
ნათდებიან...
და ცისპერ თავაწეული ტაძრები –
უფლისთვის დანთებული
სანთლებია.

2004



ვისაც არ სურს მთის შვილობა,
თაგმი ქვა და ლოდი იცეს.

შენ კი სულზე მიასწარი
და გით ვაჟამ, დაიფიცე
ოქროს ჯვარზე –
იახსარის.

1964



აიღოდები

“მზე – დედაა ჩემი,
მთვარე – მამაჩემი”.

ჩვენთან იყო ყოველთვის:

ოდოც¹,

კოისაც²,

კარადაც³,

ზოგჯერ ბეწვევც ვეკიდეთ,

მაგრამ ცა გვიფარავდა

კოლხებს –

აიეტიდებს⁴.

1966

1, 2, 3 – პრეისტორიულ კოლხთა (ქართველთა)
წარმართული ღვთაებები.

4 აიეტიდები – მზისა და მთვარის შვილები.



“ამაღამდელო ღამეო”.

ნეტავი რა აშინებს,
ჩემს სარკმელთან ელვა რომ
ქალწულივით ცახცახებს,
ცა კი ისევ ბიბინებს
გაზაფხულის მოლივით.
მზის და მთვარის სასახლეს
და ვარსკვლავთა ნასახლარს,
მოვლილს ათიათასჯერ,
ამაღამაც მოვივლი.

1969



მეტასის ციხე

იქვე, ვით ტატო ბარათაშვილი,

გულ-ხელ-დაკრეფით იდგა

მეტეხი.

ძირს მტკვარი ეგდო, როგორც მერდინი.

დუმდა თბილისი ყალმით ნახატი.

და ნისლი ისე ეშვებოდა მთიდან –

მახათის,

თითქოს მოდგაო ველური სპა

ჯალალ-ედ-დინის.

1971



განირვენს და გარდუხევს

ვუხემობ დღეებს გარდასულს,
 მცველად, ვითა ვექილი,
 და დაღლილი კოლხეთის
 წარსულში რომ ვიძინებ,
 სიზმრად ვხედავ ფეასკებს¹,
 მალხიებს² და ბექირებს³,
 კაბირებს⁴ და კარდუხებს⁵
 სანტიებს⁶ და ბიძირებს⁷.

1961

1, 2, 3, 4, 5, 6, 7 – პრეისტორიული კოლხური
 (ქართველური) ტომქბი.



როს დახედეს დედამიწას
შიში იგრძნეს ქართვლის მთებმა.
და მთვარე კი, ვითა მოლა,
ცის მოვერცხლილ მინარეთში,
აქლარუნებს სხივთა ებანს,
არად აგდებს ჟამთა
ქროლას.

1961



— გამარჯობა!
 ჩემო თბილის ქალაქ! —
 მცხეთასთან მტკვარი კვლავ გაჰყივის
 ეთიმ გურჯივით.

(იქვე, “პომპეის” ძველი ხიდია).

მთიდან ჩამოსულ არაგვს მხარზე
 ისევ ჰკიდია

კლდე,
 ვითარც ვაჟას პოეზიით
 სავსე ხურჯინი.

1959



* * *

1977



მოვარე ბავშვივით რომ არ წაიქცეს,
მას უხილავი ცის მინდორზე დგომას
ასწავლის.

მიწას წყლულივით
აჩნია გუბე.
მიეზიდება ქარი დასავლით
წვიმების ხელით დაჩეჩილ და
დაძენძილ დრუბელს.

1986



გახელილი აქვს ერთად ცხრა თვალი,
სად ნაკვერჩხლები

მარად ღვივიან.

ცას გადაივლის ცეცხლის ფეხებით

მზე –

რქებზე სანთლებდანთებული,

როგორც ღვინია –

დამის უფსკრულში გადიჩება.

1967



ო, ქოზევინა

ამქვეყნიური სიამტკბილობა
შარბათად შესვი და შეიფერე.
ნათლით მოსილო,
ღვთაებრივო,
ო, ქოზეფინა!
და, აი, ახლა, შენი სიბერე
დღისა და ღამის ფრთხებით მოფრინავს...
ო, ქოზეფინა!...

1989



ქარით გაცრილი ქვიშისმარცვალება –
ნაპირთან ყრია –

ქაფის ქვირითი.

შორს,

ჰორიზონტზე,
ფრინველივით გამოჩნდა გემი.

ზღვა აღმა-დაღმა დააჯირითებს
გაუხედნავ და უაღვირო ტალღების
რემას...

1965



გმაყოფილება

ფუჭი დიდების არ ვარ მძებნელი,
ეჯერდები,
მერგო რაც უფლის ნებით.
და... “მიითვალე ლოცვად დუმილი...”
ვით უდაბნოში წყალს ბედუინი,
დარჩენილ დღეებს წვეთობით ვსვამ და...
ვუფრთხილდები.

1992



განცდა

თითქოს კვლავ გაგვცეს...

ურდო მონღოლთა

მოდის და მოდის...

ასე გარედან,

წვიმის ფლოქვების ისმის თქარუნი...

და სახლში ისე ჩუმადა ვართ, თითქოს

კოხტაა,

და შეთქმულება მიდის ფარული...

1962



მოვალ დაღლილი

გიტოვებთ წიგნებს...

ამქვეყნიური –

სიცოცხლისათვის, ეს მაქვს სამყოფი.

უცხო მხარეში მივალ დაღლილი...

და სოფლის ბოლოს –

ჩემი არყოფნა,

სივრცეს შექმუის ბებერ ძაღლივით.

1992



მურგება

ზის ლაფაროსთან და ყურებს იფხანს,
მეგუზელებივით უელავს თვალები:
ვეება თათები, თუმც მგლისას უგავს,
და ძლიერს,

ზოგჯერ აღმოხდება კატის კნავილი.
შავ-თეთრად ნაწერ ჩემს ბებერ მურგვას,
კუდი აქვს დასმული –
კითხვისნიშანივით.

1959



დე, მარად ჭკიოდეს

ბნელ ქსელში ახვევს დამის ობობა,

ათას ჭირ-ვარამ გამოვლილ


ჩემს გულს.

მწამს, მელის უდაბნო და უდრანი...

ეჰ, საქართველოვ!

შენი ტრფობის უღელში შებმულს,

დე, მარად მტკიოდეს ქედი – ნაუდლარი.



მარტია იმარტა

თოვს და თოვს...

მარტმა იმარტა,

ბაღში ძახილი არ ისმის კვირტის.

დღეს ვართ და ხვალ

აღარ ვიქნებით –

წერს კაკანათთან დაყრილ თოვლზე

პაწია ჩიტი

ციცქა ნაფეხურების

იეროგლიფებით.

1986



გდარდობა...

უფლის დაგრეხილ დღეთა თოკებით
მე ვარ მიბმული დროის ანძაზე,
ირგვლივ სიცოცხლის და
მზის ბადია.

და ვდარდობ მე ჩემს კეთილ და-ძმაზე,
რომლებიც ცრემლებს –
ვერ დამაღვრიან.

1990



არ შველის

მოგალთ,
აკვანში გვიწევს ჩაწვენა,
წავალთ, – კუბოში...
გვიცდის გლოვა შავით მოსილთა.
არც მღვდლის კურთხევა, არც დიაკვანის,
არ შველის, რადგან,
მოკვდავს მოსვლიდან,
ელის კუბოც და...
ელის აკვანიც.

1979



ზამი ბანგითხვის

ადამის ძეო,
 მიბაძე ნადირს,
 ადარ განერთხო მომხდურის ფერთხიოთ,
 იმ ავაზაკის და არამკითხის.
 ალფრედ დე კინის მგელივით¹ შეხვდი
 სიკვდილს,
 როს მოვა ჟამი განკითხვის.

1972

¹ იგულისხმება ფრანგი პოეტის ალფრედ დე კინის – “მბლის სიკვდილი”.



ო, დედა ჩემი

სიკვდილმა სამჯერ ჩამოუქროლა
და სამივეჯერ
მოსტაცა დედას სამი ბიჭი, ათასს
ნარჩევი.

მას მერე ჭაში იხედებოდა
და... აპეთებდა დედა არჩევანს...
ო, დედა ჩემი!

1983



შცემ 80ზრდებით

აბობოქრებულ ზღვაში ცხოვრების,
ჩვენ თევზებივით უცებ ვიზრდებით...
არ გვეშინია და ვიფურჩქნებით.
თუმც ძილში ისევ ბინადრობენ
ავი სიზმრები,
მოჩვენებები ცხადშიც სხედან დამის
ბუჩქებში.

1986



ათასოდეულებრივი გდია

თავზე დაგვიკის და დაგვჩხავის,
აღარ გვაშორებს წყვდიადს,
ჟამი ავთვალი და ავსული.

ათასწლეულებში გდია
ქართლის
ყელგამოდადრული წარსული.

1971



გითარცა თორი

უცემ იქნებას...
ელვა ბზარივით
დაედინება ჩემი ცის მინას.
გაცვდება გული ცემისაგან, ვითარცა
თორი...
და სამუდამოდ დავიდებ ბინას
პეპლების ფრთებით გადარწეულ
ყვავილთა შორის.

1989



მარტის სუსეი

შიშველი,

თვალებჩალურჯებული,

თებერვლის ტყიდან გამოვარდნილი,

ბადებში თოთო კვირტებს აწვალებს...

და მარტის სუსეი, ოოგორც ნადირი,

დაძრწის დამეში

და დაწანწალებს...

1989



გამთვანის ცა

ამაყ ხევსურთა ხმები არ ისმის,

შავრა ულაყებს არ აგელვებენ.

გამთვნის ცა –

ველს პგავს კრწანისის
მორწყულს ლომბული არაგველების
და... ვარსკვლავების

სისხლის წვეთებით.

1966



მიმღერის პატი

ათი ათასი ჩიტის გალობით
დახუნძლულია მიმწუხერის ბაღი
(ტოტიდან ტოტზე ხტიან ანცები...),
თუმც,

შაშვის ერთ ყლუპ
გალობად არ ღირს,
მათი ჟივები და დრიანცელი.

1961



ოქროს ასოები

მოვიდა,
გაშალა, –
ცის ლურჯი რვეული
და ვარსკვლავთა ოქროს ასოები,
სხვა სიყვარულით და სასოებით
ჩამოაწიდება ღამებმ.

1958



სული ამოდის

ეს მერამდენე დილა თენდება
ასე წვალებით,
ვაი-ვინჩრობით.
ვეღარ მივაღწევ მე საღამომდის,
დასწევევლოს დმერთმა!
ვწერ და ვიღრჩობი...
ლექსი კი არა, სული ამოდის!....

1992



მახთაჭანა მთაში

ბრაზობს...

ბობოქრობს მამა-უფალი

და მოქათქათე ზეცას ათალხებს.

მხდალი ღრუბლები ხევ-ხევ რბიან და...

მიბობდავენ...

ურჩ ანგელოზებს დმერთი ურტყამს

ელვის მათრახებს,

ცრემლში იღრჩობა დამის ბდავილი.

1967



თეთრი არაგვი, შავი არაგვი

ტყეში კოდალა მზეს აკაპუნებს,
ხეებს კვირტები ამწვანებიათ.
თეთრი არაგვი,

შავი არაგვი,
ვაზზე კი არა, ქართლის მთების
ჯვარზე აკრული,
წმინდა ნინოს
ნაწინავებია.

1971



* * *

1962



სოფლის დილა

გათენებამდე ცის ქვაბში ხარშა
და ამოავლო ნისლის

ლილაში

წყნარად და ფრთხილად,
მერე მამლების ყივილის თოკზე
მზემ გასაშრობად გაპიდა დილა.

1964



ALLEN.RU

თბილისი მთაწმინდიდან

ერეკება ტალღების ტყვეებს
 აღმოსავლეთით
 და მეტეხთან იხვევა მტკვარი,
 როგორც სპირალი.

ნარიყალას კვლავ ესმის არაგველთა
 ძახილი.

წყლის ნაპირზე ლოდი ზის, როგორც ყმა
 მომცირალი,
 კრწანისის ველს უპყრია ობელისკი –
 ძახვილი.

1984



ჩვენ ვართ მდინარის ორი ნაპირი
და სიყვარული გავდოთ ხიდებად,
არ მიეკაროთ სიძულვილის და მტრობის
ნაღმი.

რადგან ამ ქვეყნის
ავლა-დიდება,
პოეტის ერთ კარგ სიმღერად არ დირს.

1967



ჩურჩულების პურები

ისმის ვაჟას სამრეკლოდან –

უკვდავების ზარის რეპვა:

რადა თქვენ გაგაუკვდავათ –

შენ ბუერავ,

დგიავ,

დეპავ!

“ჩვენს საქმეში ნუ ერევით –

ჩურჩულების ბუერები”.

1984



რემა შეღვებია

აქვთ მთებია და იქით ველებია,
შეა ქოხებია –
კვამლით გამურული.
მიდის... მიიმდერის რემა შეღეგია,
ნაურმალიგით მისდევს “ურმული” –
“მადო ჩქიმი არაბა” – უამთა საბუსტნავი,
“აშო ჩელათი დო ვიშო ბუსკათი”.

1960




ქართლის სული

ნაცემ ძაღლს პირველ საქართველო,
ცას შეემუშავა...

და წევ კავებს...
და... დღეს მდგრიე ქართლის სული –
მომავლის თეორ კალაპოტში,
ვხედავ, როგორ მიწანწევებს...

1992



მტკვარი და მთაწმინდა

მაგრად ჰყავს შეკრული ხიდთა

არტახებით

დედა თბილისს და...

აკვანს კვლავ ურწევს...

(მეტების ბორცვის ხელს უშლის კუზი).

აკვანში მტკვარი ბაგშვიგით უწევს,

ხოლო მთაწმინდა –

კალთაში უზის.

1966



გაღვიძებულ ტოტებზე –
ჩუქურთმიან ბუდეებს
სიმღერებით იწნავენ
და პაჭია ნარჩიტებს,
ბეღურებს და
წიწკანებს
ნისკარტებზე პკიდიათ გაზაფხულის
სიმწვენე.

1963



შეს მოლოდინი

თოვლის ქათქათა ზეწარზე წვანან
მთები –

ორსული.

ხეებსაც მოუჩანთ ფესვთა საცეცები.

და შენს მოლოდინში მთვარეც ამოსულა,
რომელიც მიგროვებს –

იმედის ნამცეცებს.

1965



0სეპ, აქა ვარ

გავიდა უკვე მესამე ქვირა...

დავმარხე დედა...

(ჩემს ხორგაში)

ისევ, აქა ვარ.

და მარტოსული, ვით ისაკავა,

თვალცრემლიანი, ხობისწყლის პირას,

“კიბორჩხალას” და ჩემს ბავშვობას

ვეთამაშები.

1983

აბგისტო

სიცხის მკლავზე მომწყვდეული

ცა,

კვლავ ქალწულივით კუთავს,
ტანჯვისგან რომ გამოიხსნას,
არც ბეა ჩანს და არც თუთა¹.
ქარს კი ზურგზე მოგდებული,
სადღაც მიაქვს ღრუბლის ფუთა.

1988

1 ბეა და თუთა – მზე და მოვარე. (მეგრ.)



შეიძნ მახვილი

“შეიძნ მახვილი!” –
 მთიდან მთაზე გადავძახოდი...
 და... ამირანის “ბორცილთ მსხვრევას”
 მეც მოვესწარი.
 აწი იმ ქვეყნად წავალ მე შვებით.
 გადაუხდიათ “მწუხრის ზეწარი”
 და ქართულ მიწის ტახტზე წვანან –
 ორსული მთები.

1989



შენ ქართველო!

გორგასლის და დავითის ძალა მოგდევს,
შენ, ქართველო!
ბრძოლებში არ დაოსდები!
თუმც წართმევა სურთ ავნევის და
ტყვიავის.
საქართველოს გულში ისე ჩანს “ოსეთი”.
ვით იღიას ნათელ შუბლზე –
ნატყვიარი!

1990



ჩარგალში

მთებო! –

თოვლის ხელით ნაწერ

მოქათქათე თქვენს წიგნს გავშლი –

სადაც კაფიები მძივობს...

და ღმერთმა ქნას, თქვენს კალთაში,

ვით ფშაველ დევს მიმეძინოს...

1992



ნიშა და ნიკორა

ცხელა და ცის ტრიალ მინდორზე

ტრიალებს მზე, როგორც

წიკორი,

მთვარეს კი მწუხარისას შეუვლის...

მიდის დღე და ღამე –

ნიშა და ნიკორა

და მიიცოხნიან ათასწლეულებს...

1961



მოგარის პუბლიკაცია

ცის დათალხულ ბალდახინზე
 ჩამომდგარი მთვარის კუბო,
 სასვენებელს ჰგავს ლაზარეს
 (თვალს უსველებს დრუბლებს ცრემლი).
 აღარა ჩანს ქრისტე ღმერთი
 და მწუხარე მნათთა მრევლი,
 მის აღდგენას ითხოვს მკვდრეთით.

1964



პლატონის და პლუტონის

პეგასს ვეღარ უჭერს აღვირს,
თავს ღმერთკაცებს უტოლებს.
თუმცა იცის, ლანდად არ დირს:
პითაგორას,
პროთაგორას,
პლატონის და პლუტონის.

2001

© 2001 ილია ჩავჭავაძე

სულთათანა

პირველყოფილ სიყვარულით,
როს სიცოცხლის ქარს მიხურავ
და წაიღებ დარდსა და ცრემლს
გულთა თანაც.
მაშინ, ჩემო! ცა კოლხური –
ვარსკვლავებით მიგალობებს
სულთათანას.

2002



ვარსკვლავების ასოებით –

ზეცა ქრისტეს მოჰვავს

ნაწერს.

ლამაზია ეს ქვეყანა...

და ვინც პირმშოს უმღერს “ნანას”,
ის

იესოს აკვანს არწევს.

1960



ხილვა: ძრისტე

ამ უბედურ,
 დუხტიორ დროში,
 დაჭკნა რწმენა და ვენახი.
 მაინც ვიდაც ღვთისმოსავმა,
 უწყალობა მოხუცს გროში
 და...
 მე ქრისტე დავინახე.

1957



ლოცვით და ლოდინით დადლილი –
თვალები ცრემლებით

გევსება.

ოცნებას ახდენა გვიან ჰყვარებია.

თუმც შენი –

ეს ციცქნა ლექსები –
ციცქნა გრიგალები და

ნიაგარებია.

1968



ՕԵ

ասֆլյանցիների օւ և պատմութեան,

զոնաց շուրջութեան և պատմութեան

ոմարեանց գա


ուժութեան.

զոնաց ապահովութեան և պատմութեան –

և պատմութեան,

օւ յանձնական պատմութեան ծովագութեան.

1972



პე, პოლხეთო!

თავის დროზე ვერ მოგხედეს!!!

და რაც გქონდა “საგანძურო”,

ყველაფერი მოგტაცეს და...

მერე მტერთა შურმა შერყვნა,

შეარყია და

შესუდრა!

თურმე, ჩემო! –

პე, კოლხეთო!

რაც რამ იყო კარგი ქვეყნად,

ვარქმევდი შენს ოქროს სახელს,

ყველაფერი შენოვის მსურდა.

1973



ღუნიებს და ოდიშგილებს

კვლავ მწუხარედ დასცქერს ოდი¹
 იქ – ენგურის,
 აქ – არაგვის,
 დავიწყების ლოდს მიშლილებს –
 გვარებს:
 ეგრისელაშვილებს²,
 ღუნიებს³, და
 ოდიშვილებს.

1969

1 ოდი – მთვარის დვთაება კოლხურ პანთეონში.

2 ეგრისი – პრეისტორიული კოლხეთი.

3 ღუნია – ლელთ ღუნია – “მგზავრის წერილები” (ი. ჭავჭავაძე)



სშავერგიგანტი

სული გმირი მგოსნების –

ცად მნათებად ანთია,

დროა მათი მსაჯული.

შენი “იქმენ ნათელი!”

ზღვის ღელვას მიჯაჭვული

სუპერგიგანტია.


1993



ორი ანგელოზი

სათნოების ცის თაღზე,
 უფლის გამოკვეთილი –
 გვითვალთვალებს,
 გვფარველობს,
 ანგელოზი – კეთილი!
 მაგრამ იმავე ციდან
 (გვიმძიმს ამის ატანა!),
 მზერას აღარ გვაშორებს
 ანგელოზი –
 სატანა.

1977



სამოთხეში პპოვებს ბინას,
ვინც საფრენად ფრთებს რომ გაშლის,
და სიცოცხლეს დააჩნდება მზე –
იარად.
ის, ვინც, ოუნდაც ოცნებაში,
ქრისტეს ტრაპეზს ეზიარა.

1967



მიწაზე და მაღლა ცაში,
ვინც იღოცა მასზე შვიდგზის,
ღმერთმა ყველაფერი უწყის
და... ყველანი აცხონა!
ვინც უპოვარს ხელს გაუწვდის,
ის ფეხებს ბანს მაცხოვარს.

1987

ლეიტინგ მოწყალე

მთვარიდან,
გით დევის კოშკიდან,
მიმქრალი ნათელი
გამოკრთის
და გამყივარი ხმა ისმის:
— წინ გეპენიაა...
ცეცხლი და ორწყალი!
იარე...
ღმერთია მოწყალე!

1959



* * *

1968



თეთრი და შავი არაგვი

ორი არაგვი —

შავი და თეთრი,
ისე, ვით ორი მზეთუნახავი, დევს,
ფშავ-ხევსურეთის მთის კოშკში

ჰყავს გამოკეტილი!
და ის ბაყბაყი, ზოგჯერ კეთილი,
ავ სიზმრებს ხედავს!

(ჰკლავს სიმარტოვე!)

თეთრ არაგვს —

ამბის გასაღებად
მიარბენს მცხეთას,

და შავ არაგვს კი...
(ვით პაატას!)

მძევლად იტოვებს.

1973

სული კაცობრიობის

მიღიარდი წლის მიღმა...
 დამისა და დღის იქით,
 მოჩანს რაღაც დიობი,
 სადაც, როგორც ფრინველი,
 თურმე, ისევ ბინადრობს
 სული კაცობრიობის.
 და... მის ხილვას მოელი,
 მოთმინებით იობის.

1964



ვინც ტაძარში სანთელს ანთებს,
ყოველ შაბათს,
ყოველ პვირას.
და უფლისთვის ტაბლას გაშლის
და სიმდაბლით –
დმურთს მადლს სწირავს,
ის სუფევას პპოვებს ცაში.

1960



შიგნი – “იშმან ნათელი!”

რწმენის ციდან ისევ უონავს, –

მადლი ღვთისა

და მირონი.

ბნელ წარსულში თვალს ახელენ –

საქმეები –

საგმირონი.

და... ეს წიგნი კი არა და,

კოშკი არის ბაბილონის.

1994



ცის ტაძარში მწუხარის მთვარე,
მნათთა კლავიშებზე უკრავს
და დღეები დღეებს მისდევს...
ვინც მშიერს როს უყოფს ლუკმას,
ის მასპინძლობს თვითონ
ქრისტე.

1960



ოდი

ქვეყნის გაჩენიდან,
ოდით,
კოლხეთს დანათოდა ოდი¹,
შენც მოხველ და... შეერკინე –
გოლიათებს და ტიტანებს.

და...

სიზიფეს ქვა თუ ლოდი,
მთის მწვერვალზე აიტანე.

1959

1 მთვარის დვთაება კოლხურ პანთეონში.



ღმერთის სიყვარულისათვის,
ჯვარცმა,
ჩამოხმობა ელის,
ცისარტყელა უჩანს ყულფად!
და მაინც კი,
ვით იობი,
ის ამისთვის მადლობს უფალს.

1975



ბრალი არის,
ვინც დააბა ბედმა ბაგას,
მერე აწვალ-აცხოვრა.
ხოლო ვინაც მარხვითა და
კრძალულობით,
თავი იხსნა ამქვეყნიურ
ვნებისაგან,
ის მსახურებს სამ მეფეს და
მაცხოვარს.

1969



გეზგვი

არ წყვეტს ცეცხლი ხეტიალს,
ასწლეულზე მეტია,

მიწა –

პირით ვეზუვის,
ცას, ისე, ვით ჰეროსტატე,
ნაცრად ქცევას შებზუის...

1958



ზღვა და ქარი

ქარი ღელგას ზღვას დაპირდა,
ზღვაც მის ნებას მინებდა...
მერე, ღელვით გადაღლილი,
იქვე,
ახლოს,
ძველ ნაპირთან
მიწვა დასაძინებლად!

1958



შოორეული ხმა მესმის –
ჩემთვის უძვირფასები,
გითარცა სამშობლოსი!
– ეს ხმა არის ფაზისის,
ენგურის და
ხობოსის.

1957



მა, აია, ვესტო, ური

აქ “ეა”¹ და “აია”^{1-ა},
 იქ კი ფესტო² და ურია².
 ყრმის ტირილი ესმა ქაანანს
 (დედამ ცრემლი გაურია!),
 რამაც ღმერთებს და
 ქაანას³,
 გზა და კვალი აურია.

1979

1 ქალაქი-სახელმწიფოები პრეისტორიულ პოლნეთი

2 უძველესი ქალაქები საბერძნეთში

3 პრეისტორიული ქალაქი იერუსალიმში.



შეღლი და მიზე

ოქროს აკვანს ურწევს –
ზღვისკარად გარსკვლავებს,
მთვარე, ვით გადია.
შენ კი ზიხარ და..
შეღლის და მიუსეს
სონეტებს –
ღამეებს მიუსევ
და... წლები გადიან...

1957



მეგონა, ლექსებს წყვდიადში
ვანთებდი, როგორც ჩირადდანს!
თურმე, ვშრომობდი ამაოდ.

შენდობას ვითხოვ –
მამაო!
– არცეურთი არ ღირს ჩირადაც!

1979



* * *

ქართველები მოსკლიდან –
უფლის ნებას მისდევდნენ...
ვითარც ნანა დედოფალი!
მეფე მირიანი!
ქართველები ქრისტემდე –
იყვნენ ქრისტიანი.

1960



ჯოჯოხეთი მოგელის

შენ სამოთხე კი არა,

ჯოჯოხეთი მოგელის,

ვითარცა აქ...

და იქაც!

რადგან შენს “ფსალმუნებში” –

არის მონეს, გოგენის

და ვან გოგის ღვთიური

გამა,

ფერთა მისტიკა.

1980



პოლიტიკური მზე

შენც ეგვიპტელივით

ხარ განდობილი...

მიდი და ილოცე...

კოლხური მზე, ცეცხლი და ხანძარია...

შენი “ფსალმუნები” –

ატლანტისის ტაძარია,

ან სასახლეა მინოსის.

1991



თეთრული

სულ სხვა ყოფილა მაღალ
მთებიდან,
მზე საცალფეხო ბილიკებით
როცა ამოდის
და სიწითლისგან დილა ცხარდება.
გაიპო სიგრცე...
უცებ თეთრულდი
პგავდა მაცხოვრის გამოცხადებას.

1969



ვინც რომ შვიდგზის ლოცულობს და,
არად აგდებს ქარს და წვიმას.
ვეღარ ირჩებს მზის იარებს,
და სულისთვის –

სხეულს წირავს...
თავს იხშობს და მიდის მწირად,
ის ქრისტეს ხვედრს –
იზიარებს.

1974



ნიჭის ბუხარს კოლხური
ცეცხლი თუ არ შევუკეთე,
მითქამს და კვლავ ვიმეორებ,
რომ ახლა ყველა მეორე,
ლექსებს წერს ჩემზე...

უკეთესს.

1990



ღამე ზის ცის ოგვაჯეში,
მთიებს ათბობს და
ფრთებს იკეცს.
არის ზართა ამო რეკვა...
სანამ ღამე, როგორც ხვითოს,
ოქროს მზის კვერცხს
გამოტებს და ოქროს დილას
გამოჩებაგს.

1959



ლოდინი

დღე –

დღეს მისდევს...

და წლებს – წლები...

ლოდინს ბოლო ადარ უჩანს

და შენ მაინც

არ გწყინდება!

გარინდული,

მოელვარე

მაყვლის ბუჩქთან –

კელაგ მოელი საქართველოს

გაბრწყინებას.

1991



მოსვლის დღიდან ზე-ცას ელტვი,
ვით მშობლიურ კერიას.

შენს სიცოცხლეს
ატლანტისის
ტაძრის სვეტის –
ვერი აქვს.

1961



შენ,

სიცოცხლე და

სიშორე გელის...

და წამი, ვითა ათასი წელი...

1957



ამაღლება¹

ისე,

ვითა ამირანძა

ბაყბაყ დევი,

მიწას ბევრი დაანარცხე,

თუმც გეხვია ბევრი ეშმა,

მაგრამ მაინც შენი მტრები

დაამარცხე,

ვით პუმბაბა

გილგამეშმა.

1974

1 “ამაღლება” – ეგრისელის ლექსების კრებული (1971)



მჟღა

ვულკანი კი არა,
 წინაპრის სულია,
 მიწისქვეშეთში რომ ვეღარ ეტევა,
 მთვარე კი მისი ქვა გულია,
 შენი პოეზია მღვიმე და გამოქვაბულია,
 ლექსები – სტალაქტიდები და
 სტალაგმიტებია.
 და მაღვე იქცევიან სინათლის სვეტებად.

1962



მწვხრის მელოდია

იმედდაკარგულთა კარებს –
სიყვარულით აღებს გული
(ალბათ სოფელს მეც ვჭირდები!).
რა ვქნა!

მე, წყალწაღებული,
ლექსების ხავსს
ვეჭიდები.

1958



* * *

მიღიარდთა უსამანო
ტყეში ცხოვრობ,
ვით მეტყევე,
ლოცვად მოგდის ხმა ცხოვარის.
იგავურად კვლავ მეტყევებ,
ვითარც ქრისტე-მაცხოვარი.

1959



፭፻፲፯

თვალდებიდან ცეცხლს აფრქვევდა,
თვისტომელთა გასახარად,
ბუღა იყო ის ჯურისებრ,
მაგრამ უცებ წააქციეს
და აქციეს –
იგი ხარად,
გახმე! – დაასაჭურისეს.

1982



შორს ჩანს გაღმა ნაპირი...

და ჰა,

ჩემი მამული –

ზღვაა მეწამული,

და მე, მოსესავით,

გაღმა გასვლას ვაპირებ.

1969



ორი არაბგი

ორი არაგვი, როგორც ორი – და,
როგორც ორი მზეთუნახავი,
მაღალ მთებში ჰყავს
გამომწყვდეული
და შორს არ უშვებს ჟამი –
უნდობი,
არცერთი წამი!
ორი არაგვი,
ვით დღე და დამე –
თეთრი და შავი,
ფშავ-ხევსურეთის მთებში
ბუდობენ.

1971

გჭვრეტდი:

სადღაც ცხოვრების –

საცალფეხო ბილიკზე,


მზე ჰყენაოდა ბაღისებრ,

მაგრამ უამმა მიმალა!!!

სამოთხეს ვინ მაღირსებს,

ჯოჯოხეეთში მიმავალს.

1960



საჭურო

ასეა ესე საწუთო:
ადამის ძის შთამომავალს –
სიცოცხლეს და
სიყვარულსაც,
სულ აწყურებს...
აშიებს...
მაგრამ შენ ბუზს ვერ აგიფრენს,
ქალდეველთა ნაშიერს.

1992



შველა და შოგელი

ოქროს ვარსკვლავები

და ვერცხლის ღრუბლები,

ცას რომ მოუშვია წვერივით.

და დედამიწაზე რაც არი –

ცეცხლიც და ნაცარიც,

აწიც რაც სამყაროს მოელის,

შველა და შოგელი –

უფლის ხელითაა დაწერილი.

1960



გრაალის და მზის ტაძარს

ალბათ “ქამი მოალის”,
ახალ საოცრებათა
გაიღება ცხრაკარი!
მაგრამ ქვეყნად უნდობი
დროთა ცვალებადობა,
გრაალის და მზის ტაძარს
თითხაც ვერ მიაკარებს!

1960



ნებარი აგბუსტინი

იგავურად თხზვა და
 თქმაში,
 ზოგჯერ ერეტიკოსთა
 სახელებიც იალებს,
 ვითა ღმერთი მორიგე:
 ნეტარი ავგუსტინე
 და უღმერთო ორიგენ,
 გამასთან ტერტულიანეც.

1963



სუვისძი

ვითა ჯალალ-ედ-დინ-რუმი,
ვით დანტე და გოეთე!
(არა ვიღაც-ვიღაცებს,
მიეთებს და მოეთებს!)
შენ ეტრფოდი სუფიებს –
მიჯნურებს და
პოეტებს.

1964



მზის პალოზე დაეგი

სათარეშოდ არ გეყო –
გონჯი დედამიწა და
ზეცისაკენ იურვი...
მზის პალოზე დაები,
რაღგანაც ვარსკვლავები –
სულია კოსმიური.

1962



მზის ნაშიერს და ცის ბინადარს,
ცალი თვალი კვლავ მზისკენ
გიჭირავს,
მზეს ელი, როგორც დავითს – ესავი,
და იმეორებ შენც დანტესავით:
– ქვეყნად ყოველი სიყვარული –
სიბრძნის ნიჭია.

1988



ଓର୍ଜନାଲିକା

ზიხარ პონტოს ზღვისკარად,
მზით და მთვარით მოსილი
და წარსულის ტაძარში
მგალობელ ძველ კოლხელთა –
ელი სმათა მოხელთას...
ღმერთკაც ორფეოსივით.

1960



როს ჭეშმარიტი წინ გვიდევს წიგნი,
გვახსოვდეს,
ვით ბრძანებს ბორჩესი¹:
— მზერა მიღმართოთ
შიგნით.

1960

1 ხორხე ლუის ბორჩესი — ნობელიანტი არგენტინელი
მწერალი



დელფინები

ადამის ძეს ბამავენ... და –
ცად ილტვიან დელფინები;
უფლის მადლი შუბლზე აზით,
ნათელი რომ ეფინებათ,
სიშორეა –
ზეცის ვაზის.

1969



დარდის შიშისფერ ტოტზე შემჯდარი,
უცებ არყოფნას იწიგლებს წავად!
და ავარდება სიცოცხლეს ალი.
მოულოდნელად მე ისე წავალ,
რომ შენს ლურჯ ცაზე –
მიპყრობილი დამრჩება თვალი.

1999



ორ დიდ ალექსანდრიელს

საცალფეხო ბილიკებით

კოლხეთიდან –

ათენს ვსდიე...

(დორონთ სქანი გოლუაფირო¹)

და სიბრძნეს ვესესხებოდი –

მე,

ორ დიდ ალექსანდრიელს –

კლიმენტსა და

ბრძენკაც ფილონს.

1970

1 ღმერთო, შენს სახელს შემოვევლე (მეგრ.)



გენია

მიწის შვილობა კარგია,
მაგრამ ცის – უფრო სხვა არი –
გაბრწყინებული მთიებით.
მგოსნის გენია ზღვა არის –
“შედის და
გაედინების”.

2009



სულის თვალში ჩაიბუდე
სამება, ვით ერთიანი;
მტლად დაედე მზის აურებს.

და...

სამყარო ღმერთიანად –
ასე გაიშინაურე.


2009



სიცოცხლის და სი ცნობადის

დღეს, მიმწუხარმა მზე მოსტაცა,
და პირს აღარ უხსნის დანა,
ზღვის მოთქმა კი ცაში ადის.
ყოფნის ტყეში ერთად დგანან –
სიცოცხლის და
ხე ცნობადის.

2003



წარსულიდან გამოიხმე

და აქციე კოლხა,

ურად.

რადგანაც ის შენი იყო

და კარს მისას ნუ მოხურავ!

კოლხურ ცას და

კოლხურ მიწას –

უბალობე ძველკოლხურად.

1964



ALBERTSU

ოქროსფერი ფსალმურები

ვით ათონელ მწიგნობარებს
წამით ადარ გქონდა მოცლა,
მაინც “ოქროს ფსალმურები” –
აღუვლინე ცაში ლოცვად
ძველ და...
“ოქრომრავალ კოლხეთს”.

1984



არყოფნის ცაზე ვარსპელავთ ეტლებით,
ასწლეულები გადაიგრგვინებს
და შენ შორეულ მზეს
დაგაფენენ,
მერე გვიან კი...
შენ რომ გედგა
ეპლის გვირგვინი,
ო, იმ გვირგვინზე დაიწყებენ
შრიალს დაფნები.

2001



მთელი დღე ენთო მზე –
დგთის ცეცხლი,
ახლა მინავლდა,
ქარმაც შეწყვიტა სუნთქვა დროებით,
მე ცაზე გცხოვრობ
და ცის ბინადარს,
ციფი სინათლით კვლავ მაბრმავებენ –
ვარსკვლავების უდაბნოები.

1988



ადმოსავლეთით და დასავლეთით –
ველურ ყიჯინით მოდის და
მოდის –
მნათობთა ურდოს ცეცხლი ფარული,
გით საქართველო,
მტერთაგან ღდით,
მთვარეც ასეა,
გარსკვლავებით შემოჯარული.

1992



კენწეროები მაღლა მიიღებიან...
თუმც, ვით ტყის მჭრელი,
ზეცა დასცქერის შემოდგომის,
რომელსაც აწუხებს საწუთოს სიჭრელე
და ეცოდება ხეები,
დაღლილი –
ფეხზე დგომით.

1987



შენ მრთი ხარ მეზოვე

მათ საქმეებს “საგმიროს”,
 უამი განსჯის პირქუში,
 შენს დიდ პოეზიაზე! –
 ცოდვა – ბრალს რომ იდებუნ,
 მთვარის თეთრი ჩოხით და
 მზის ოქროსფერ სამხრეთი,
 შენ ერთი ხარ მეუფე –
 ქვეყნის კიდით-კიდემდე,
 აღმოსაგლით, დასაგლით,
 ჩრდილოსა და სამხრეთის.

2001



01 დღე

ქალწულ მარიამს
ვით ყრმა იესო,
ისე,
მზე დილას პყავს შეფუთვნილი,
თუმც დამეები აღარ იღევა,
და სადღაც,
ის დღე – შენი,
კუთვნილი,
პვლავ გელოდება სულის მიღევით.

2004



გრადაციები

ნათლის ფრთების შრიალით –

მოვლენ დამეები და

შენს მზეს –

წყვდიადს მისცემენ,

ამის გაფიქრებაც კი მკათათვეში

გაციებს,

მიტომ ეჭვით შესცემრი –

გარინდებულ სივრცეებს,

გარსკვლავთ თანმიმდევრობას

და დღეთა გრადაციებს¹.

2000

1 გრადაციები (ლათ.) თანდათანობა.

რბევად მოვარდნილ
ზეირთთა ჩოჩქოლში,
აფრის ტკაცუნი მესმა
ლაზების,
რომელიც კიდევ ერთხელ მავალებს,
რომ მივატოვო ცის დარბაზები
და აღვაშენო “ქვეყანა”
ზღვაზე მრავალი.

1956



უამი საავდოთ ღრუბლებს
შენსკენ ჩუმად მოდენის –
სხვა ცეცხლით
და სხვა ალით.
მაგრამ ბუზს ვერ აგიფრენს,
რადგან შენ ხარ რაინდი
“პოეზიის”,
“გრაალის”
და “საწმისის” ორდენის.

2008



საქსაჭლის ხე ზღვისპარად

წუთისოფლის ბილიკით

აქ,

ვის არ ჩაუვლია?!

ეს ხეც – საქსაულია,

მკერდს რომ უშვერს

მზის ცოცხებს.

ქვეყნად სასწაულია,

სიკვდილიც და

სიცოცხლეეც!

1962



სულის თვალი

მწუხერი მნათთა ოქროს ზარებს
 ისევ რეკავს,
 როგორც მნათე,
 რომ სივრცეებს დასცეს ელდა!
 მეცამეტე ცის ბნელ
 ნათელს,
 მხოლოდ სულის თვალი ხედავს.

1962



თქმება

იქ,

საიქიოს თურმე არის ასეთი წესი,

აქ,

სააქაოს როცა “კარგი” სუფრა იშლება
(ეს სულ ერთია, ჭირის თუ ლხინის),

მოაწყდებიან მკვდართა სულები,
ხელო: კარახანით,

კულით, ფიალით

და... ვის სახელსაც ახსენებენ,

მისი სასმისი იგსება დგინით

და...

ვისიც არა,

“შინ” ბრუნდება თვალცრემლიანი...

1965



გაუგალ უღრანს ათასწლეულთა,
კოლხო!

პირველი შენ მიბელავდი,
და მიგქონდა “ოქროს საწმისი”,
რადგან შენ იყავ –
ტომის ბეჭდი,
ადამის ძეთა –
პირველ საწყისი.

1960



ისე, როგორც მიქმაჯელო

(ვარიანტი)

უკვდავებაზე,
რადგან არ მსჯელობ,
და ისე, როგორც მიქელანჯელო,
ამბობ, რომ ქვეყნად –
სიცოცხლეა –
კაცთა სასჯელი!

1972



ჩემი პოლიტიკა

აირია ქვეყანა...
წლები რბიან თარეშით,
მაგრამ წამი რა არის,
ისიც არ მიცხოვთ
დე,
კოლხეთის გარეშე!

2016



სარჩევი

წინასიტყვაობის მაგიერ.....	5
ენგური და მანგანა	25
კოლხაა თუ ხეთია	26
*** მე, ჩემი თავი მენანება	27
იღუმალ სამყაროს წარდგნამდელს	28
*** ზღვას ბანჯგელიანი ხელები	29
*** ჩვენ, ვითარცა ყარაჩოდელს	30
სტიქსე და ჯეონი	31
*** მამულის სიყვარულში გაპარულნი.....	32
ალფა და ომეგა	33
*** წარსულიდან ვიღაც ყივის	34
*** ისე აწყდება ნაპირს ტალღები	35
*** ნირს ვერ შეუცვლის ყოფნა	36
*** თეთრწვერიანი კლდე იალებს სახედ	37
*** ტალღების ჩქამი	38
არმაზი	39
ფიქრთა ხე	40
მომენტები	41
მამის საფლავზე	42
*** ჯოხს დაყრდნობილი მოდის სიბერე.....	43
ალუბლის ტოტი	44
ვარსკვლავეთი	45
*** ყალყზე მდგარი და ფაფარ-აშლილი.....	46

ჩემი სურვილი	47
ჩამოდის ღამე	48
*** ზღვა აქვე	49
მთვარე	50
პატარა ჩიტი	51
*** ზღვამ იგალობა ქარში მწუხარის	
საგალობელი	52
გარძია	53
წამოიმართნენ მთები	54
ნაკადული	55
*** ტალღები მშიერ ავაზებივით	56
*** შუბლშეჭმუხვნილი იღუმალების	57
*** პონტოს ნაპირას	58
ყივის მამალი	59
*** გამოიღვიძებს უდაბნოს ქარი	60
*** დღისით და ღამით აღარ ისვენებს	61
ბალახის ფოთლები	62
*** თითქოს კართან მდგარ ალვის ხეზე	63
სურო	64
წუთისოფელი	65
ბებრის ციხე	66
რიონის პირას.....	67
ნოქტიურნი	68
ნაციხარი	69

ყინვა	70
*** მამლის ყივილით იბზარება ღამის	
პედელი	71
კრწანისი	72
უეცარი შედამება	73
საუკუნენი	74
სათაფლია	75
ტყის იდილია	76
არაგვისპირას	77
მიწა ღმერთია	78
მზე	79
*** შენდობას ვითხოვ	80
*** ზიხარ მოწყენის შიშველ ნაპირთან	81
ისევ	82
მოომენა	83
მეფე დავითი	84
*** კვლავ კვალში მიდგას, რქები აქვს	
ვერძის	85
*** ჰყივის სიცოცხლე...	86
*** უფალი ჩემში განვასხეულე...	87
ბედის ვარსკვლავი	88
ასე გამყოფე	89
სოფელში	90
ედელვაისი	91

*** არ ვხედავ	92
*** ზღვა ისევ ბორგავს	93
წვიმები	94
ჩემი ალუჩა	95
*** დაცლილ ყანწს პგავს	96
*** აპა, ეს დამეც	97
ერთი ტალღა	98
სული	99
ზღვა	100
*** მიღმა ათასწლეულთა	101
*** წინაპართა სალოცავი	102
მარადისობის ხე	103
შუმერულს და აქადურს	104
*** სინათლის წლების და ფერების	105
ბაღვაშებს და ყაყიტებს	106
წმინდანები	107
ფრესკებს შეეხიზნები	108
ვარსკვალვო ცვენა	109
ორი სხივი	110
ასფოთოლა	111
ვარდების სასახლე	112
ქრისტეს ქიზონი	113
*** ცა	114
აქციუსი	115

რიწა და ავადჭარა	116
ჰომეროსი და ბეთჰოვენი	117
*** იდუმალებით მოცულ	118
*** ყოფნის მწვანე მინდორზე	119
აიეტის და ფარტაზის	120
სეეტიცხოველი, ალავერდი, სამება	121
*** ვისაც არ სურს მთის შვილობა	122
აიეტიდები	123
*** ნეტავი რა აშინებს	124
მეტების ციხე	125
კაბირებს და კარდუხებს	126
*** როს დახედეს დედამიწას	127
*** – გამარჯობა!	128
*** ვით კოპალას დახოცილი	129
*** მთვარე ბავშვივით რომ არ წაიქცეს	130
*** გახელილი აქვს ერთად ცხრა თვალი....	131
ო, ეოზეფინა	132
*** ქარით გაცრილი ქვიშის-მარცვალება.....	133
ქმაყოფილება	134
განცდა	135
მივალ დაღლილი	136
მურგვა	137
დე, მარად ტკიოდეს	138
მარტმა იმარტა	139

კდარდობ...	140
არ შველის	141
ჟამი განკითხვის	142
ო, დედა ჩემი	143
უცებ ვიზრდებით	144
ათასწლეულებში გდია	145
ვითარცა თორი	146
მარტის სუსხი	147
გამოენის ცა	148
მიმწუხრის ბაღი	149
ოქროს ასოები	150
სული ამოდის	151
მეხთატქა მთაში	152
თეთრი არაგვი, შავი არაგვი	153
*** როს ტალღა ტალღას გამოედევნა	154
სოფლის დილა	155
თბილისი მთაწმინდიდან	156
*** ჩვენ ვართ მდინარის ორი ნაპირი.....	157
ჩურჩულებენ ბუერები	158
რემა შელეგია	159
ქართლის სული	160
მტკვარი და მთაწმინდა	161
*** გაღვიძებულ ტოტებზე	162
შენს მოლოდინში	163

ისევ, აქა ვარ	164
აგვისტო	165
შეიძნ მახვილი	166
შენ ქართველო!	167
ჩარგალში	168
ნიშა და ნიკორა	169
მთვარის კუბო	170
პლატონის და პლუტონის	171
სულთათანა	172
*** ვარსკვლავების ასოებით	173
ხილვა: ქრისტე	174
*** ლოცვით და ლოდინით დაღლილი	175
ის	176
ჰე, კოლხეთო!	177
ღუნიებს და ოდიშვილებს	178
სუპერგიგანტი	179
ორი ანგელოზი	180
*** სამოთხეში ჰპოვებს ბინას	181
*** მიწაზე მაღლა ცაში	182
ღმერთია მოწყალე	183
*** მლოცველს უფლის რწმენისათვის	184
თეთრი და შავი არაგვი	185
სული კაცობრიობის	186
*** ვინც ტაძარში სანთელს ანთებს	187

წიგნი – “იქმენ ნათელი!”	188
*** ცის ტაძარში მწუხარის მოვარე	189
ოდი	190
*** ღმერთის სიყვარულისათვის	191
*** ბრალი არის	192
ვეზუვი	193
ზღვა და ქარი	194
*** შოორეული ხმა მესმის	195
ეა, აია, ფესტო, ური	196
შელლი და მიუსე	197
*** მეგონა, ლექსებს წყვდიადში	198
*** ქართველები მოსვლიდან	199
ჯოჯოხეთი მოგელის	200
კოლხური მზე	201
თეთნულდი	202
*** ვინც რომ შვიდგზის ლოცულობს	203
*** ნიჭის ბუხარს კოლხური	204
*** დამე ზის ცის ოგვაჯეში	205
ლოდინი	206
*** მოსვლის დღიდან ზე-ცას ელტვი	207
*** შენ	208
ამაღლება	209
ეტნა	210
მწუხარის მელოდია	211

*** მილიარდთა უსამანო	212
ბუღა	213
*** შორს ჩანს გადმა ნაპირი...	214
ორი არაგვი	215
*** ვგვრებდი	216
საწუთრო	217
ყველა და ყოველი	218
გრაალის და მზის ტაძარს	219
ნეტარი ავგუსტინე	220
სუფიები	221
მზის პალოზე დაები	222
*** მზის ნაშიერს და ცის ბინადარს	223
ორფეოსიგით	224
*** როს ჭეშმარიტი წინ გვიდევს წიგნი.....	225
დელფინები	226
*** დარდის შიშისფერ ტოტზე შემჯდარი.....	227
ორ დიდ ალექსანდრიელს	228
გენია	229
*** სულის თვალში ჩაიბუდე	230
სიცოცხლის და ხე ცნობადის	231
*** წარსულიდან გამოიხმე	232
ოქროსფერი ფსალმუნები	233
*** არყოფნის ცაზე ვარსკვლავთ ეტლებით..	234
*** მთელი დღე ენორ მზე	235

*** აღმოსავლეთით და დასავლეთით	236
*** კენტეროები მაღლა მიიღიან...	237
შენ ერთი ხარ მეუფე	238
ის დღე	239
გრადაციები	240
*** რბევად მოვარდნილ	241
*** ჟამი საავდრო დრუბლებს	242
საქსაულის ხე ზღვისკარად	243
სულის თვალი	244
თურმე	245
*** გაუვალ უდრანს ათასწლეულთა.....	246
ისე, როგორც მიქელანჯელო	247
ჩემი კოლხეთი	248

D. J. Gammie



ვაჟა ებრისელი

გოლუშრი ფსალმუნები

100 ტომაზ
ტომი 62

VAZHA EGRISELI
“KOLKHURI PHSALMUNEBI”
ONE HUNDRED VOLUME
VOLUM 62

- | | |
|---------------------|-----------------------------|
| გამომცემლობის | |
| რედაქტორი | – სოჭო ციცაძე |
| მხატვარი | – სპართაკ ციცაძე |
| მხატვრული რედაქტორი | – ირაკლი უშვერიძე |
| ტექნიკური რედაქტორი | – ნანა ღვამბაძე |
| კორექტორი | – ლილე ღოლგაძა |
| კომპიუტერული | |
| უზრუნველყოფა | – ნანა და დათო ყანეაშვილები |
| გამომცემელი | – ერეპლე საჩლიანი |

ფასი 20 ლარი

თბილისი
2020



გამომცემლობა „კონვენიენტი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაია №4. ტე: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com